ეკატერინე ციცქიშვილი

ჟამის სასწორი

თბილისი 2020

კაცობრიობის მღელვარე და დაუცხრომელი ცხოვრების შტრიხებია გამოკვეთილი წინამდებარე კრებულში. მახვილი თვალი და პოეტური მსოფლმხედველობის მკითხველი შეიცნობს, შეიმეცნებს ჟამის სასწორის ჭახრაკის ქანქარს. აქ წარმოჩენილი ყოველდღიური ყოფიერების ორომტრიალის ღვითქი იღვრება სტრიქონთა არიალში. მუხანათ სამყაროს გულგასენილი შტრიხები აფხიზლებს გონების უჯრედებს და რაზმავს მათ მოქმედების ლაბირინთში სამოძრაოდ. დაე, იბარტყოს, იკიაფოს ქართული სიტყვიერების ხიბლმა.

რედაქტორი: **პაპუნა ქვარიანი**

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
გამომცემლობა „კალმოსანში“
კონტაქტი:
ელ.ფოსტა: ***kalmosani@yahoo.com***
ტელ: 571 19 19 39; 2 665 965

ISBN 978-9941-8-2290-2

ვარდების სიფრიფი

ისე დასჭექეს ცისკრის ზარებმა,
შეიკუნტრუშა წუთით ქორბუდამ,
ამ სასიამო გამოდარებამ -
ლამის ბერმუხაც ააოხუნჯა.

გალობს ნარჩიტთა კეკლუცა დასი,
ცრემლებს იწმინდავს დეკა და ძელქვა,
მინდა, რომ მივყვე მხარდამხარ არწივს,
მინდა ვარდების სიფრიფი მეცვას.

ამ ზენაარი ეიფორიით
ქერუბიმების ვიყნოსე გეში...
და მომავალი პრეისტორიის
გაუშუფრავი სასმისი შევსვი.

ჟამის სასწორი

ამ აღრენილი ყოფის შემყურემ,
როგორ არ ვშიფრო სიკვდილის შიში,
ჩამეწყრილ შარას ცრემლად ვეპკურე,
ბრბო სიავკარგის განვრცობას მიშლის.

ხვედრის ნაზვირთმა მხარი დაჩქლითა
და ვეხიდები სივრცის განედებს,
გასასტიკებულ მასის ჩაწიხვლა
ცოდვის სამსალას შემომაგებებს.

საფლავის ქვაზე წარწერის გარდა,
თუ შერჩა სულეთს რამე ამბორი,
ააზლუქუნებს სიფითრე ნაძრახს,
გაიცრიცება ჟამის სასწორი.

გუმანს რომ ვენდო

სამყაროს როცა ჩამოუღამდა,
მაშინ ლაციცმა იწყო ნავარდი,
როცა სიწმინდე ლამის სულს ღაფავს,
განწყობას ჭვალის ფხით ვიკაწრავდი.

შემოეპარა ხმაში ცახცახი
ცრუ თანადგომის ანომალიას,
ანაზდეულად მაინც გავცხარდი
და სუნთქვა ერწყმის სიმწრის არიას.

თვალწინ დამიდგა ლიუციფერი,
ბრმა ქვესკნელეთის ჭინკების როკვა,
გარდუვალია ჟამი კირთების,
ვერ ვითავისე ქვემორე ხოხვა.

ვერ ავეტუზე ნიღბიან ლანდებს,
ვერ მივეახლე უწრთობ კაპიტანს,
მინდა სულეთის კიაფი ჩანდეს,
ღრძო დაფდაფების ხიბლი არ მინდა.

ვუახლოვდები გოლგოთის ბექობს,
გამომელია მუხლებში ძალა...
მინდა, ერთხელაც გუმანს რომ ვენდო
და მივაგებო კანდელი ფარას!

შ ე ა ფ ე რ ა დ ა

რადგან სამყარო ასე ელვარებს
და აცინცხალებს სიცოცხლის დვრიტას,
ამაცოდვილა ჟამმა მჩქეფარემ,
ამ აღტკინების განწყობა მხიბლავს.

რაოდენ ეწვით გული კულისებს,
რაოდენ მძლავრობს მაზანდა ტაშის...
გახუნებიათ ქეჩო უტიფრებს
და განცვიფრება განზავდა ლაფში.

კურცხალი მოსწყდა ღრუბლების მწვერვალს,
შეაფერადა ნავარდის მრწამსი,
მაინც საწუთროს ყამირებს ვზვერავ,
რომ დარწყულების გავტეხო ნავსი.

უმზადებს

ვერ გადავწონე სულის სასწორი,
ვერ ვუტკაცუნე სალტე შეცდომებს,
იუდავ, შენი გაცვდა ამბორი,
მინდა, იობის გმინვის მესმოდეს!

რას ვეაჯები მიწიერ საცდურს,
რად მივიტანე გულთან ქილიკი?!
ვის სერაფიმის მოსმენა არ სურს,
ვინ განკაცების ბჭისკეს მიილტვის!

თუ დაესესხა ვნება მაქციას,
თუ აბოგინდა მრწამსი ვერაგის,
ქარი უმზადებს ქოხმახს სანქციას,
გაშიშვლიანდა თეძო ტერასის!

ბინდის წიოკი

საუძლურეთის კარუსელი
ისე ტრიალებს,
გაყურსულია ცისქვეშეთის
აყალ-მაყალი.
მალე ღრუბელი გადაავსებს
სივრცის ფიალებს,
შემცბარ აურას მიმოკაწრავს
სულის ფანცქალი.

დასანანია ოცნებების
გადაფითრება,
შემოეგებათ დილიჟანებს
ნისლი ჩაფხუტა;
თუკი, რომ ღვარცოფს ამაცილა
ნაწრთობ ფიქრებმა,
ბინდის წიოკი დაელმებულ
თვალებს დახუჭავს.

სწორედ ასე ჩაიღვენთა

რადგან თანხვედრ ესადაგა
ამ განწყობას ფერთაცვლა,
შემოდგომის მზა ბარაქას
ჟამი ციმ-ციმ შესანსლავს.

სწორედ ასე ჩაიღვენთა
სულიერი განწყობა,
მაჯმაჯურებს დაიფერთხავს
ეს მაჭარი სათრობად.

კბილებს ისე აკაწკაწებს
ეშხი დამსკდარ ბროწეულის,
ავიწყდება განაწამებ
სუნთქვას რისხვა მორეული.

ჩაიმუხლა ფოთოლცვენამ
არემარის მშვენებად...
დაე, უფლის იყოს ნება -
ტირიფის ამღერება!

დ რ ო ა

როცა ნაგრძნობით შემკული
გააცისკროვნებ მზერასა,
თავდავიწყების ფერხული
ანაზდეულად გზვერავსა.

ითხოვდითო და მოგეცეთ -
ამგვარად გვამცნო უფალმა...
განზე გამდგარი მოკეთე
გამსჭვალულია უბრადა.

მოკვდავთ ეს ვადადარია
სახადად გადასდებიათ
და საჭილყვაო არიად
წვეთ-წვეთად გადასდენიათ.

როს არ ასვენებს ქარტია
ცილისწამების მაზანდას,
სუნთქვას ბრჭყალებით კაწრიან,
არსში ნაცარი განზავდა.

ეს ორჭოფული ფიქრები
სავალალოდ რომ იმუდრებს,
ჩამოეღვინთა კვირტები
ადამიანურ სისუსტეს.

დაუხვეწავი თამაში
ქსელებს დახლართავს ირიბად,
საჭირბოროტო კამათი
საღ აზრის სალტეს ისხლიტავს.

ეს საგულქვაო სიფითრე
იმ გაწბილების ნაშთია,
როს მიწიერი სიბიძგე
მიამუხრუჭებს ხვაშიადს.

ღრუბელს გაუცვდა თავანი,
მომხვდური ფიცხელ ტიალობს,
დროა, რომ იატაგანი
მალი-მალ ააბზრიალო!

ყინვის სითეთრე

თვალს რომ შევავლებ შორეულ მწვერვალს,
მეახლოვება ყინვის სითეთრე,
რუხი მიმინო ჰორიზონტს სერავს,
მესკია ჩუმ-ჩუმ ბუდეს იკეთებს.

როს ამიგორდა ღაწვზე კურცხალი,
კრძალვით შევნატრი ფრთოსანთა ნადიმს,
დააჭაშნიკა ლომმა პურ-წყალი,
მთვარეს ღრუბელი ჯიხვის რქას აწვდის.

მამულო, შენი ღირსების მადლი
თვითეულისთვის დიდი ტვირთია,
დღევანდელობის ჩაბჟირდა კადრი
და საცოდვილო გროშებს ითვლიან!

გიყვარდეს მუდამ

გახსნა იარა ძველმა ტკივილმა,
ავზნიანია გამჭოლი ქარი,
შემაზანზარა სულის კივილმა,
გულს გასჩენია სარქველის ბზარი.

ჩაბჟუტულია ჩემი სანთელი,
ჩაწყვეტაზეა ცხოვრების ხიდი,
მეფობს წყვდიადი, არ ჩანს ნათელი,
ვიცოდე მაინც, გზა საით მიდის.

არარა ხდება თურმე შემთხვევით,
გამოცდააო, არ უნდა დრტვინვა,
დანისლულ გზაზე ყველა შემხვედრი,
ვერ შეედრება ანგელოზს ღვთისას.

გიყვარდეს მუდამ, უნდა იზარდო,
თუნდ შეეწირო, მსხვერპლი გაიღო,
ცეცხლში იწრთობი, რომ გაიდარო,
წუთისოფელი არვის არ ინდობს!

ასე რად

თვალში თუ ჩადგა ნათელი,
გული საგრძნობსაც იტვირთავს,
ეს წარმოსახვა თანხვედრი
ჩაცხრილულია ფიქრიდან.

მაინც რა უნდა საწუთროს,
ასე რად მექილიკება?!...
რაც უნდა სული ამწუხროს,
წუთიერ დამილხინდება.

საკმეველს მაინც ავანთებ,
სანთელსაც ავეფიცხები,
უფალი მამცნობს დანარჩენს,
ვით ვაკრიახო სიტყვები!

გაკვესა

როგორ სწყალობს სულის თრთოლვა,
სიდუხჭირის ტერასებს,
თანაგრძნობის მიმოქროლვა
გაბზარულ გულს ვერ ავსებს.

ცაში ძნელად იკრიფება
საცრემლისის ნექტარი,
თავგანწირვის ციტირებას
გაუხუნდა ზეწარი.

ამ მიწიერ ჯახირ ყოფას
რაი აღარ ვუსაგზლე...
დელგმამ მდელო მიმოცოფა,
გადიარა მუზაზეც.

მზემ კი - ისე გამიღიმა
მიმომაწრთო საკვნესად...
და ყოფითი სუნთქვის ბღილმა
უკუნეთში გაკვესა.

ნუ

მადლობა უფალს, ამ სატანჯველით
რომ განმიახლა ბრძოლის მაზანდა,
კურთხეულ მიწას რომ ჩავაშტერდი -
ოცნების დვრიტა სუსხმა ჩაღადრა.

წამოვიმართე და თვალს ვუსწორებ -
იმ გაღიმებულ მყინვარის ბექობს,
გამისასტიკდა ჟამი უფრორე,
ლიუციფერი მლიქვნელებს შეფობს.

ჰოი, ზნეობავ, ნუ იფორხილებ,
ნუ აფხვიერებ დოგმის ოაზისს...
ზღვარს გადაკვეთავს ეს სიმორჩილე,
უზენაესი თვის მადლს მომაწვდის!

ოდითგანვე

რადგან ოდითგანვე განისაზღვრა
მსრბოლავ სხეულების გვემა,
ცხვირი აიბზუა კანიბალმა,
ეშმა ნისლის ფარდებს კერავს.

მეფობს სიბილწეთის განივთება,
მთვარეს მიუცუცქდა ნიმფა,
სულის საყუდელი ჩამიჩდება,
კალო გაელეწა სიზმარს.

ბრბოში ჩავიკარგე განათქვეფი,
მაინც გარიყული ვრჩები,
ცრემლი აღიბეჭდა დანაფრქვევი,
ღრუბელს შეეკვეცა ფრთები.

შემცბარი

ძლივსღა რომ შემომათენდა
ეს ღამე ნაცარტუტალი,
ტატნობის ღია სარკმელთან
ლანდად მეზმანა უფალი...

მემცნო, თუ საით მიმიხმობს
სამარადისო ზარები...
ეჟვანშებმულმა მიმინომ
დააბრიალა თვალები.

თან უახლოეს ღრანტეში
მეწყერმა დაიგრიალა,
შემცბარი თავქვე დავეშვი,
ძონძები მოსავს იალაღს.

დაქანცულ ჩამოვიმუხლე
ნამეხარ მუხის მახლობლად,
ეს სატიალე სიმუხთლე -
უღრანებშიც კი სახლობდა!

ტ ვ ი რ თ ი

გრძნობათა მთუთქავ მყოფობა
მეხსიერებამ იტვირთა,
როგორც დარვინის ობობა,
ჩაქსელილია ტკივილთან.

ეკალ-ღორღებში სავალი
მიმოიგრიხა ბილიკი,
უგნური წარმომავალი
უკან მომჩხავის ქილიკით.

წარმოსახვათა ბობოქარ
ნიაღვარს ერწყმის მავანი,
უგვანო აზრის მოთოკვა
არის მთავარზე მთავარი.

წუთისოფელში ძნელია,
მშვიდად რომ ზიდო საპალნე,
ჭრაქი მოედო ლელიანს,
მიმოისილა სავანე.

თუ განავრცობ

აცივდა და ავდრების
კორიანტელს ველით,
ცამ ჩამოქნა სანთელი,
განაცრისფრდა ველი.

ტრამალს ზურგი აუწვა
ამ გზირების გნიასმა,
დაიხუვლა ლაღუმმა
ქარაფს დენთი მიაცხვა.

გადმოფინა ფასკუნჯმა
სამშვიდობო ქარტია,
დღეს სულიერ სასუსნავს
თუ განავრცობ - მადლია!

გ ა დ ა ს ა ხ ე დ ი

როგორ ამაოდ დავსტირი
ამ გაუყებულ ჩეროებს...
მიყრუებული ნაპირი
უსასტიკდება წეროებს.

რადგან ყოველთვის მიჭირდა,
ქვეშ-ქვეშ ნაფიქრის გაგება,
წყალობას ველი, სიმწრიდან
რომ დამიფაროს განგებამ.

როს თვალწინ წამოიმართა
ზესკნელის გადასახედი,
ვარსკვლავთმრიცხველის ფიქალთან
სატურნი ვერძებს გახედნის.

აჰა, ჩამოდის ციმციმად
გაუცხოების ფანტელი,
უშენობა რომ მიმძიმდა,
სარკმელს ჩაადნა სანთელი!

რა სავალალო

როგორ მალი-მალ კრთება ნათელი,
როგორ ჩამუქდა საზღვრების ძგიდე,
ბილიკებს ფარავს თოვლის ფანტელი,
ძლივსღა შესამჩნევ ნაფეხურთ მივდევ.

რა სავალალო ნისლი ჩამოწვა,
ყინავს, არ ამცდა ადგილზე შფოთვა,
ვერ მივეახლე წმინდა სალოცავთ,
განცდის სიმძაფრე აღმომხდა ოხვრად.

მაინც ის ძალა მიბიძგებს მკვეთრად,
რომ მივაშურო ფართე შარაგზას...
უნდა გავუძლო სიმუხთლის ფეთქვას -
სანამ სტიქია სივრცეს ჩარაზავს!

განსხივება

უსარგებლოდ დატრიალდა,
საწისქვილო დოლაბი...
უდღეურო მატრიარქატს
ეწვის ღაწვი ცნობადის.

ისტორიის ლაბირინთებს
ჩაქსოვია მარწუხი...
ვის ლაქლაქი აქვიტკირებს,
ვინ ბრიყვს თავსაც დაუხრის.

ღმერთმა ცრემლი არ მოაკლო
გაზაფხულის განთიადს,
ტკივილების სასიახლო
საცდურეთის ფანდია.

მაინც ნუღარ გაგვიკვირდეს
განსხივება განგაშის,
თუკი სული საგვირისტე
თანადგომას არ ჩაშლის!

დ რ ო დ ა დ რ ო

მიმოარწყულა აისის თქორმა
ღამენათევი მაისის ვარდი...
ამდენმა კრძალვამ, ამდენმა თრთოლვამ
ააგვირისტა სიმუხთლე დარდის.

გაუცხოების განზომილებამ
მიმოაფრქვია ბნელეთის კადრი,
სულს განივთება ეჩოთირება,
სვავმა თვალთვალი დაუწყო არწივს.

ამ ყიამეთის ფაციფუცეთში
სანაქებოა სიმორცხვის მადლი...
დროდადრო უნდა გახდე უხეში,
რომ სითვალთმაქცეს ჩამოხსნა ჩადრი.

თ უ რ მ ე

ლოცვის მიმწუხრი მიმანიშნეს
სერაფიმებმა...
და სასწაულის სიმსუბუქე
მენაპირება.

ჩადგა ქარი და ანგელოზმა
გაიფაჩუნა...
თანაც არწივმა მიმოთელა
ხავსი სასთუმლად.

ისე შევყევი ღვთიურ გზნების
დაყოლიებას,
ნაზიარები ჩავეძიე
სულის მხილებას.

წარმოსახვაში გავიაზრე
სამოთხის სიო...
ეჰ, ეშმა თურმე მიმზადებდა
შარაგზას იოლს.

როცა სისხამის სურნელების
მადლი ვისრუტე,
აცრემლებული ვარდის ეშხი
ტკივილს მიყუჩებს!

მძიმე ჯვარი

სულში სევდამ ჩამობარდნა,
შეგვძრა ცოდვის ზარებმა,
მოგვანიჭა ქრისტეს ჯვარცმამ
მძიმე ტვირთის ტარება.

სიკეთისა საუნჯებლად
შეეწირა კაცთ მოდგმას,
სიბოროტემ ააცრემლა
ყოფის მადლის განვრცობა.

სააღდგომო მცნების ცნობამ
დააჩოქა სიკვდილი,
უბერებელ მზის ტატნობთან
სიცოცხლის სვეს მივტირით.

შენი მადლი

როს ჩაწყდება სხეულს სივრცე,
სულს რომ ქვესკნელს ჩაიტანს,
სიტყვას როგორ გამოვცრიდე,
თუ არ გიგრძნე თავიდან.

მართალია, შენ გაფრინდი,
ანგელოზის ჩვილი ფრთებით,
მაგრამ დარჩი ის საწყისი,
რაც არასდროს შეიცვლები.

რაც სიხარულს მანიჭებდი,
რა ლახვარიც მომევლინა,
გაუსაძლის ყოფის გზებით
ქვეცნობიერ იშვა დრტვინვად.

სიცივემ რომ ამიტანა,
შიშის გრძნობა მიხსნის ხელ-ფეხს,
შენი მადლი დამიფარავს,
როს მინოსი მომიხელთებს!

ი ნ ა ტ რ ა

არა შური, არა ბოღმა,
არა რისხვის ქაქანი,
ხედავ, ვარდი როგორ ოხრავს -
როს ინატრა ცვარ-ნამი.

ეჰ, რას ვიზამთ, ამპარტავანს
აექოჩრა ჯაგარი,
ამ უდღეურ ღვარძლის ლავას
მიეყრება ნაცარი.

როს არ ასვენებს ავყიას
მოჩვენების მაზანდა,
სუნთქვას ბრჭყალებით კაწრიან,
ფიქრში ბუღი განზავდა.

გატრუნულან ცის ტატნობზე
მგლოვიარე ნიმფები,
უზენაეს სამსჯავროზე
ვრჩებით განაწბილები!

საცდურის საგმობი

შუბლი ამეწვა, გადათქერილ
მამულს გავხედე,
ეხამუშებათ დაკოჟრილი
სახრე სახედრებს.

მაგრამ იმდენად გადიდგულდა
ყალბი ელიტა,
საერისკაცო მრწმსის სუნთქვა
ჩამოგვეწრიტა.

ეჰ, გვაზღვევინებს როს განგება
საცდურის საგმობს,
საშვილიშვილო აღდგინება
აბარტყებს სამცნობს!

ჩახერგილ ზღუდეს

ო, როგორ მტეხავს
ამ ცხოვრების კრუნჩხვის წიოკი,
საცდურთან შერწყმას
მიბრკოლებდა მრწამსი იობის.

მინდოდა მეთქვა,
გულს ნასუსხი რკალი მარტყია.
სინაზე ფერთა
ექსოვება მდელოს მანტიად,

ჰოდა, ვარდების
სინარნარეს უნდა მივენდო,
ჩახერგილ ზღუდეს
შემოუნთო ალი იესომ!.

მხოლოდ

არა, აპრეხილი წარბი,
არა, გაწბილების ნესტი...
შუბლზე სიპირქუშე მაწვიმს,
ჟამი აბლაბუდებს მესვრის.

არა, გაცვეთილი ენა,
არა, საქილიკო მრწამსი...
ქუსლი აუწითლდა მერანს,
ხონჩას ჩამოემხო კასრი.

არა, შემართული ხელი,
არა, დატენილი ფიშტო...
შაშვი თვის სიობლეს მღერის,
მოლი ცის ზღვაურებს იშრობს.

არა, გაყიდული მიწა,

არა, ნასხვისარი ცხორი...

სივრცე, როცა ძონძებს იცვამს -

თანხვედრ აფუვდება შმორი.

მხოლოდ სიყვარულის ნამი,
ისე დაგვეთქოროს უნდა,
როს ის საუცხოო წამი -
ჩამზრალ ნაიარებს კურნავს!

მ ო ხ ი ს ი

როს სისხამზე შემაფხიზლებს
გუგულქედის ნიავი,
სული ზენას მივაფიცხე,
მწიწკნის ფეთქვა იარის.

ცისარტყელამ გაუღიმა
მოხისის ვრცელ იალაღს,
ერთ დროს ბატონს გაუჭირდა,
აქ რომ ესვა ფიალა.

კიბორჩხალებს აგოგმანებს
სურამელას ნაჩქერი,
ამ უდღეურ თავკომბალებს
არ დაადგათ საშველი.

ზოგჯერ მკაცრად გადმოგვხედავს
გულზვიადი არწივი,
სალოცავის წმინდა სვეტთან
წინაპრის ძვლებს დავტირი.

გულმდუღარედ გადავკვეთე
სოლოვეთის ლავიწი,
აქ დარჩენის სასავედრებ
განშორებას განვიცდი.

გ ა უ ფ ა ს უ რ დ ა

როს მოთმინების ფიალა
ესალბუნება იარას,
ნასათუთარი თაკარა
უსაზღვროებას გაჭვალავს.

გაუფასურდა წუწუნი,
განახლდა მტრედის ღუღუნი,
მზეს მიეფიცხა კალია,
გაფხორვა მისი ვალია.

ზვარში ურმული დასჭექეს,
ელვა ასხვისებს ნაპერწკლებს,
ალღოს აღების წინარე
უხერხულობას წირავენ.

მ ჭ ვ ა ლ ა ვ ს

როცა ოცნებების კერა
აღძრავს აღტკინების სითბოს,
სულის ხვაშიადი ელავს,
თმები აებურძგლა მითოსს.

ვდგავარ პომპეუსის ხიდზე,
მჭვალავს სვეტიცხოვლის სხივი,
ჯვარი დანანებით მიმზერს,
მტკვარი სიარაგვეს ჩივის!

ო, ეს საუკენეთ შერწყმა,
ისე გამოკვეთეს მთებმა,
მამა გაბრიელი კემსავს -
ოდით საუფლისო ეტრატს!

ძნელად

რადგან წლების სიმრავლემ
თვისებრ წაიფორხილა,
ტვირთსაც ძნელად მივათრევ,
ვიმუხტები მორჩილად.

აღარ ვეპაექრები
ცალკერძ ზურგის შექცევას,
ჩამზრალია ფესვები,
ლაჟვარდს ფერი ეცვლება.

აბა როგორ ვაბარტყებ
სილანაგემ სიმართლეს,
სასულეთის სახატედ
ვიშველიებ წინაპრებს!

ვ ე რ ა ს ო დ ე ს

ნეტავ, წუთით დამენახოს ახლოს
ცხენის კუდზე გამობმული სატანა...
ეს ფიქრები მგონი ისე ანცობს -
ლამის ქვესკნელს ახმიანდეს ნაღარა.

ისე ყბედობს გარეწარი ოდეს,
უფალმაც კი გაიკვირვა ანაზდად...
და თვით გულღრძო ტარიგად რომ ბჭობდეს,
თვის სიბილწეს ვერასოდეს ჩაფარცხავს.

შეუცბუნდა, აუმძაღდა სული,
სხვის ხელებში სათუქსუსოდ შემყურეს,
გესლიანმა ისე ცქვიტა ყური,
რომ ნაკვთები აუწითლდათ ლეკურებს.

აიხვეტა ასაფრენი შარა,
კარტს მიმოშლის ვიგინდარას ხორხოცი,
სიჩლუნგეთის სიბჟუტურე კმარა,
ცისარტყელა ნისლის თავთუხს მოცოხნის!

მაინც ისე

თუკი მწყალობს ავგაროზი
რას დამაკლებს ტარტაროზი,
როს თვალები ამეხილა
გავემიჯნე ნაცად ხიფათს.

მაინც ისე ვერ აღვიქვი
საცდურეთის ლაბირინთი,
რომ საცნაურ სამოქმედოს
სიალალე გამომეწრთო.

ცას ვარსკვლავი დაეკიდა,
სულს სიმშვიდე არ ეღირსა,
თილისმათა სიმფონია
სარკინეთის სინდრომია.

ხილვის იმედით

ჟამი გარანდავს მგესლავ კაუჭებს,
ვისიგრძეგანე მხრებზე დავარდნა...
თითქოს, ანაზდად ჩავებღაუჭე
მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას.

არ მიკვირს, როცა გაგრიყავს თემი,
ბრბოს ბლუ ქილიკიც არ დააყოვნებს...
გაურანდავი ღრუბლების გემი
შეეწირება ვარსკვლავთ საცობებს.

მწამს, რომ გავყვები მერიდიანებს
უზესთაესის ხილვის იმედით...
აწმყოსთვის რადგან დავიგვიანე -
ვაგულიანებ მყოფადს მცირედით!

ვერ ვაჭიატე

ნაზად ათოვდა ვნების კარიბჭეს,
მიაფერმკრთალა ყინვამ სალი კლდე,
ეჰ, გაწბილება ისე მაფიქრებს,
გული გაცივდა, სული ავიკლე.

ვერ გამოვკვეთე ხიბლი განწყობის,
ვერ ვაჭიატე სიკეთის დვრიტა...
დოგმების აღლუმს მაინც არ ვცნობდი,
დაბედებია უკუსვლა წინსვლას.

ბექობს დააცხრა ჯერი ნისლების,
გატრუნულია ქარი თავნება,
ჩახლართულია სიმი სიზმრების
უდღეურია ფლიდი ზმანება.

თუ არ იგრძნე

ფიცხობს ნავსის გაელვება,
ცელქობს ღვითქი სიოფლის,
თრგუნვას ძნელად გაეცლება
ცოდვა-მადლი სიობლის...

თუ არ იგრძნე თავმდაბლობის
განსხივების განვრცობა,
ამ ცხოვრების მარათონი
ჩამყაყდება საგრძნობლად.

თუგინდ ვარსკვლავს მიეახლო,
თუგინდ მიჰყვე ქარაშოტს,
თუ არ ჰპოვე გული სანდო,
იმედს გეშავ საავდროდ!

არ მიმართლებს

ჩამოსცილდა სარბიელს
იდუმალი აზრები,
შინაგანად მაციებს,
არ მიმართლებს, არ ვცხრები.

მაინც ამეკვიატა
უცნაური ზმანება,
გაწბილებამ იმატა,
ვერ მივენდე ღვთაებას.

ჩაიმუხლა მზეწვიამ
სამხილეთის კრედოსთან,
ის, რაც დასახვეწია
ღირდა მისი შეცნობა!

სიფაქიზე

რადგან ამ ნაბიჯის სინარნარეს
გზაზე ეკალ-ბარდი ეღობება,
ღვარცოფს სიპირქუშე მივახალე,
მიპყრობს სულიერი შეღონება.

მოქუხს ოცნებების ქარაშოტი,
ლამის ქარაფებზე მიმარწიოს,
ბოროტს აბა როგორ დავაშთობდი,
თუ არ შევეწონე მზის ალიონს!

ნაწრთობ სიმყუდროვის გარანტიას,
კრძალვით ფერიაც კი ითავისებს,
ვერხვმა კენწერო რომ აარხია,
სუნთქვას მიადვილებს სიფაქიზე!

მ ო ლ ო დ ი ნ ი

დაისადგურა უიმედობამ,
აუკუღმართებს ჟამი შარაგზას,
მავნებლობას და ამდენ მუხთლობას
მიუჯახუნა დელგმამ დარაბა.

იმედით ვუმზერ ცის აღტკინებას,
გაიპწკიალა მთვარის ღვთაებამ...
ცისკრის ვარსკვლავის ამობრწყინება
დღის ჰემისფეროს შეეხამება.

ტრამალს ანაზდად ეპკურა ცვარი,
მიმოზა შროშანს ეთვალთმაქცება,
თუ შეელახა მოლოდინს ზღვარი,
სიწბილის თქეში მიმონაცრდება.

სისხამის ექო

ისე საოცრად მომეყურა
სისხამის ექო,
ბაგეგახსნილი ფანჩატური
თვალს უკრავს ბექობს.

ეს შემართება ქარაფების
ათინათია,
ცისკრის მაშხალა ქვათახედის
თავზე ანთია.

ჩაფარცხულია ღამის კადრი
ისე ირიბად,
ქორბუდამ ლორთქო იალაღი
მიმოირბინა.

ყოჩივარდებით მოიჩითა
ჩემი კარეტა,
ამ სილამაზემ უმწეობის
ხვატი ახვეტა.

დ ა ე

აეწვათ ნასეტყვი ბიბილო
ნამთვრალებ ღამურებს...
მოკვდავი ამაოდ ქილიკობს,
ჩაწყდა გზა საურმე.

გაისმის ჭირვეულ სულდგმულთა
უსასო გნიასი,
გათოშილ მასების უკუსვლამ
აძვირა ხმიადი.

ბუნებავ, ასე რად დაოსდი -
ვარდებს ნუ გათელავ,
დაე, ეს ბარბაცა ქაოსი
აენთოს სანთლებად!

ჩანგის წყობა

ეს მჩქეფარე აღტკინება,
იმ ვარსკვლავის ციაგია,
როს მოკვდავის განივთება
ეწირება რია-რიას.

ცრემლი წასკდა ვარდის ფურცელს,
მთვარეს ცალყბად ჩაეღიმა...
ღამის ჭვალი მაწევს გულზე,
ჩაცხრა ცოხნა ფარეხიდან.

სავალალოდ ითქარუნებს
შუაღამის მისტერია...
დილიჟანის სიჩაუქე
საღათას ძილს მისცემია.

მიმოათბო არემარე
ზეციურმა ბარათებმა,
განთიადმა სასიგნალე
ჩანგის წყობა დამათენა!

უ თ ა ვ ბ ო ლ ო დ

ისევ აეტუზა ბექობს
ნაწრთობ განტევების ვაცი,
ბრიყვი უთავბოლოდ ყბედობს,
თასში საჭაშნიკეს ჩავცლი.

სივრცემ აითვისა მყისვე
სანთელ-საკმეველის მადლი,
სული ნასათუთარ ძირძველ -
მრწამსის სათნოებას ბარდნის.

მაინც შემომაწვა სევდა,
ანცობს წარმოსახვის ხვითო,
მხრები აეჩეჩა კენტავრს,
ეშმა უცაცხანებს მითოსს.

ისე ჩამიქროლა ახლოს -
ჩემი ანგელოზის სითბომ,
ირგვლივ გაწბილება სახლობს,
ვენდე გასაძლისის სინდრომს!

ელვარების სხივი

თვალთა ელვარების სხივი
ისე შეეწონა მირაჟს,
წარსულს რა ამაოდ ვჩივი,
აწმყო მილაწუნებს სილას.

გზიდან ახვეტილი ბუღი
დილის სიკამკამეს ებრძვის,
ისევ ბუტაფორებს ვუფრთხი,
ისევ მიცივდება ნერწყვი.

ჰოდა, ამ ნეკერჩხლის ფოთლებს
ისე აუყვითლდათ ღაწვი,
ო, ამ გაუტანელ სოფელს
ღვარძლის ხვაშიადი აწვიმს!

განმუხტვა

ველოლიავე ოცნების სანთელს
და ველოდები წუთებს სანუკვარს...
ვერ ავეტმასნე განწყობას თანხვედრს,
ვერ ვითავისე ნავსის განმუხტვა.

ვერ გავექეცი გულისთქმის წიოკს,
ვერ ვაშრიალე ტატნობის ფარდა,
ვერ ეგუება შროშანი ხრიოკს,
ვერ ჩამოვბანე ლაქები ჯარგვალს.

ამ უხიაგი ლანდშაფტის ფონზე
ცისარტყელამ რომ გაიბრდღვიალა,
თითქოს ქარავანს მიუძღვის მოსე
და მიქაელი კემსავს იარას.

ახვეული თვალი

ო, ეს სუსხი როგორ მძლავრობს,
როგორ მტეხავს ძვლებში,
სივრცეს ლამის შეეხამოს
ცივ პლანეტის თქეში.

იუპიტერს ჩაუღამდა
ახვეული თვალი...
მარტორქა რომ ნისლებს ფატრავს,
ძუ ფოცხვერი ღნავის.

ყინვამ ისე მიმოთქორა
მზის სარკმელის ძგიდე,
დროა, ეშმა სიმაფორთან
შლაგბაუმებს შლიდეს.

აბა, რაღას გავაწყობდი,
ამ ავყია დრო-ჟამს,
მაინც იმით ვამაყობდი -
არ ვემონე კოშმარს!

შ ე ვ რ ჩ ი თ

თანხვედრ გაგების მრწამსი
გაიდგამს ნატიფ ფესვებს,
ამ წამოჩიტულ არწივს
ქარი უსინჯავს მყესებს.

მომნატრებია რადგან
ნასათუთარი სითბო,
უსაზღვროების კართან
განწყობა "ფეშქაშს" ითხოვს.

უანკარესი თქორი
ეალერსება ტატნობს,
შევრჩით კერიას ორნი,
სულში იმედი სახლობს!

ჰ ო, ა რ ა

მრავლისმეტყველი თვალების მზერა,
აატორტმანა ტალღების ეშხმა,
ამ თანაგრძნობის ღვივების მჯერა...
მიმინო ბარტყებს აურით გეშავს.

ეჰ, მაგრამ როცა ჩამოწვა დელგმა,
ამიცახცახდა გულის პარკუჭი,
ქუხილის ელვა ჰორიზონტს კვეთავს,
ანაზდეულად წუთით დავმუნჯდი.

ჰო, არა - ვიწვევ ჯადოსნურ მარხილს,
რომ ყინულეთის დემონებს მივწვდე...
დამარცხებულის წავშალე კადრი,
მებრძოლი სულის ჩამოვცრი ტიტრებს!

ს ა გ რ ძ ნ ო ბ ლ ა დ

როს საგრძნობლად გამძაფრდება
ქარაშოტის ფუცხუნი,
ყიამეთის სანახებთან
იჯეჯილებს უკუნი.

სითვალთმაქცის გაელვება
მოწანწკარებს რუსავით...
სარკმელს ფარდა აეხდება,
ჩაცომდება ნუგბარი.

როს სანუკვარ ფიქრში ჩავრგე
გამჭვირვალე ნისლები,
წარმოსახვას ვაორმაგებ -
სასიკეთოდ ვიცვლები.

მზის რიტორიკა

რომ მომეძალა,
ფიქრები რთული
და შთაგონებამ
გაიუხამსა,
ქვეცნობიერად
ადიდებს სული
ს

თუ არ იხმობ

ზოგჯერ ყალბი ჰარმონია,
ჯოჯოხეთის გარმონია,
სიამეთა ჩურჩულეთი -
მაშხალაა უკუნეთის..

ვერ დალაშქრავ ლაბირინთებს
თუ არ იხმობ ღვთიურ მითებს,
ვერ გიშველის ,,ფოტოშოპი",
თუ შეიკარ ხშირად კოპი,

მოჩვენების სიაბდალე
არ ასვენებს ყიამყრალებს,
არ ჩაიხრჩო ბოღმის კუპრში,
იყბედე და გამოშუშდი.

კრძალვით

ამგვარ გაუმაძღარ ბუნებას -
როგორ დააოკებს მრწამსი,
როცა აჯეჯილდა ცდუნება,
როცა მოიკირწყლა ხავსი?!

არა, არ მჩვევია, რადგან -
ამო განკითხვათა ჩხრეკა,
უფლის საგალობლის კართან
ყლორტი დავუნამე კენკრას!

ამგვარ სასხივოსნოს ძალით
პეწი აელესა ფარ-ხმალს,
უტყვი სასოება ბარდნის,
კრძალვით მივუყვები აღმართს!

ოცნების სიობლე

არემარე შეაფხიზლა
დილის ზართა გუგუნმა,
მიმინო კუნძს დააფრინდა,
კვნესის ია უჩუმრად.

ცისარტყელას გაელვებამ
ისე ამაჩირაღდნა,
სულიერმა მღელვარებამ
სათნოებად იბარტყა.

შეემატა ძალა რწმენას,
თრთის ოცნების სიობლე,
ღვთისნიერი შემართება
სულიერად იომებს.

უ ჩ ა ნ ს

როგორ გგონია,
მაგ ფიქრების
ანომალიას
უჩანს ფონია,
თუ კითხვები
ღრღნის ჰარმონიას?!

ხო, ძნელად ხვდები,
ბრმა აურამ
გაიჯეჯილა,
ციური ხმები
უცნაურად
მიმოსეტყვილა...

და წარმოსახვას
ჩაებუდა
მელანქოლია,
ელვამ მოხაზა
ავბედქუდა
სიმწრის ფონია!

ვარდის სიამე

თვალებში სევდა ისე ციალებს,
ვით ვნებამ მორწყა ვარდის სიამე,
მიმოაკვნესა ქორბუდამ ღელვა
ისიგრძეგანა კესანემ ელვა.

და რაიც ასე ედელვაისობს -
აფურჩქნულია მწველ სამაისოდ,
განწყობას ისე ვედიდგულები,
მრწამსს მოვაფრქვიე თქორი ულევი.

ეს იმ ოცნების ხვაშიადია,
როს მზის სხივები ერწყმის განთიადს,
სიზმარში რომც არ შემომეფეთო,
ამ წამის პეწი მაინც სეფეთობს.

როს განტევების სილას მაწნიან,
რატომღაც მრწამსი ცხადის მწადია,
მიმოიფრინა სიამის ქროლვამ,
ღვთიურ შენდობის ვიკმიე თოვა.

რისთვის

ო, ეს მოწყვეტილი ვარსკვლავი
როგორ ჩაიხერგა სადღაც,
ტატნობს აუთრთოლდა ნაწნავი,
ბნელმა მიაყუჩა ფაცხა.

ოი, ამ ქარაშოტს რა სჭირს,
ველარ დაიოკა ფრთები,
ყური აუწითლდა ვამპირს,
კალოს ჩამოემხო ძნები.

ჰოი, საწუთროო, რატომ,
რისთვის მაცოდვილებ ასე?
ბრიყვის აღტკინება ბარტყობს,
ეშმა იგრიხება ცაზე!

მონატრების სითბო

ისე დამელანდე სხივად
შენი ჩაფიქრება მტკივა,
მთვარეს ჩაუყვითლდა ღაწვი,
გულში გაოცება მაწვიმს.

სულში მოზღვავებულ სევდას
სივრცეს ვუწილადებ კვნესად,
ჩუმი მონატრების სითბოს
ნიმფა დასახვეწად იხმობს.

ისე აბწკიალდა ალი,
ზეობს აშრიალი კალმის...
თქორი ჩამოიცრა ციდან,
უნდა დამეხატო სიზმრად!

არ იქარწყლება

როგორ გაირბინეს წლებმა,
როგორ შეიფერთხა მუხა,
სიზმრებს ალიონი კენწლავს,
გვერდი გაუხუნდა ბუხარს.

ეჰ, ამ ტკივილების სივრცემ,
ისე ამიჭარხლა კრედო,
ეშმას დუელში რომ ვიწვევ -
სისხლი ეწვეთება ფერდობს.

როს არ იქარწყლება ტანჯვა,
სხივებს ბურანში რომ ვეძებ,
რისხვა მომხვევია ჯაჭვად,
მაგრამ შეუძლებელს შევძლებ!

უთქმელი აზრი

უკუნეთის შესამუსრად
მზემ შემართა ჩახმახი,
გარიჟრაჟზე მესალბუნა
იასამნის კასკასი.

დაიმუხტა არემარე
იშვიათი სურნელით,
საწუთროვ, რად დამემალე,
გიხმობს აზრი უთქმელი.

აი, მდელოც აჯეჯილდა,
გაინაბა ნიბლია,
წამს რომ თვალი აეხილა -
შენეული ხიბლია!...

ჰოდა

ისე ჩაგებუდა
გულში სათნოება -
ო. ეს ქარიშხალიც
აღარ გებუტება,
ლოცვა წარმოსახე
დღიურ ტატნოებად,
სხივმა გაამჟღავნა
ბინდის შეგუება.

ჰოდა, ანგელოზმა
მხარი რომ აგიბა,
მაშინ ვარსკვლავებიც
აზარფეშდებიან,
ურვა განსჯის უნარს
მიმოწვრთნის საწინდრად,
ღრუბლის იალქნები
ზღვისკენ ეშვებიან!

უფალს შევთხოვ

როს ცხოვრების ალიყური
დააბრმავებს ღვარძლიანთ,
დაუნდობლად, გამიზნულად
შხამს სხეულში ჩაცლიან.

დელგმამ სახე ჩამორეცხა
დაკოჭლებულ სიავეს...
ჯოჯოხეთის სარეწებთან
სიპირქუშე იალებს.

დანაწყევარ, მბურძგლავ ერთ დროს
მშვილდი ამოდ მოზიდეს...
უფალს შევთხოვ, გადმოხედოს
გზააბნეულ ცოდვილებს!

რ ო გ ო რ

ისე აფახულებს
მწყერი თვალებს,
გრძნობა სამარხულე
იბადრება,
ვერა, ვერ გავუღებ
მლიქვნელს კარებს,
ქარაფს ეჭიდება
სირაქლემა.

ჰოდა, მივუყვები
შარის საყიამეთს,
ცოდვა აღტკინებას
ვეღარ დამიამებს,
უნდა ვითავისო
ჭოტის შეკივლება,
როგორ ვიხალისო -
როცა მეტირება!

ო ხ ვ რ ი თ

სულის ძარცვას ვეღარ ვუძლებ,
ჭირს იარის შუშება.
აიტაცებს ენა უძვლო -
ავსულ აკუნტრუშებას.

გაუმრუდდა სარბიელი
სხვის ცოდვების მაძიებთ.
უარყოფას გავუძელი,
შიში წუთით დავძლიე.

იშვიათი წმინდა სისხლი
ისე მიმოიჩქეფა,
მიიქუფრა სივრცე ზიზღის,
დრო მიგუდა ციფრებმა.

არ მეამა ღრუბლის ცრემლი,
გულს მიწვრილებს სიცივე,
შებერებულ ხილვებს ვებრძვი,
ურვას ოხვრით ვიცილებ!

გ ა რ ა ნ ტ ი

ო, ეს მარტოსულობა
შიშმა შეაფუცხუნა,
აზრის ჩახლართულობამ
გაიელვა უჩუმრად.

ისე ჩაიფარცხება
ამ ბრძოლების სტიქია,
სინანულის საცრემლად
ლამპიონებს ითვლიან.

როცა გაინაბება
სამშვიდობო გარანტი,
მოთმინების აბებმა
წამოჩიტა ტალანტი.

ამაოდ ვფურცლავ

ზღვამ აისხლიტა სხივის ალმური,
ნაპირს მოედნენ თეთრი გედები,
ტალღამ შემოკრა მძლავრი მხარული,
სიმარტოვეს არ ვეპირფერები.

ვერ მოგაწვდინე გულის ბარათი,
წამებს შეერწყა ნაგვემი სუნთქვა,
რადგან ტკივილებს დიდხანს ვმალავდი,
ღამის სილუეტს ამაოდ ვფურცლავ.

ფიქრში ავაგე კოშკი იებით,
ვიშინაურე ჟრუნი მტრედები,
გაუცხოვების მსუსხავ მხილებით
დასავიწყებლად არ მემეტები!

არა ისე

ზენაარო, მოგვიმრავლდა
ცრუ მლოცველთა დასი,
თან, რა ციმციმ განიქარწყლა
მორჩილ გზნების თასი.

ყველას უნდა ესადაგოს
აღსარების ყადრი,
რომ თვის სულში ექადაგოთ
ზიარების მადლი...

არა ისე, ვით იუდა
აღიქვამდა სერობას...
ქვეცნობიერ ჩაგვებუდა
გასაწირის ქველობა!

წრფელი ნაფიქრი

ამ გაავდრების მსუსხავს ქარბუქი,
მოშურნეთ თვალში ვეჩოთირები,
გავითავისე კვნესა თავთუხის,
გულს აიმედებს ლოცვა ნიმფების.

ვერ ვუმკლავდები წინსვლის დილემას,
მომძლავრდა ვარსკვლავთ კრთომა ნატიფი,
ვერ ვაპეტიშებ გამოცდილებას,
გაუფასურდა წრფელი ნაფიქრი.

ამ ბარიერის ვცდილობ დაძლევას,
რომ მოვაპკურო ცრემლი იარას,
ცრუ წუთისოფლის თმენის გაძლებას
ციური მრწამსის მადლი მიფარავს.

ისე

ისე გოგმანობდა მწყერი,
გულში სიქორფავე მენთო,
ტატნობს ვერ ვწვდებოდი ხელით,
მკვირცხლად ჩავივლიდი ფერდობს.

ქვეშ-ქვეშ გამოხედვის ხიბლი,
ისე ათრთოლებდა ვერხვებს,
როგორ შევბედავდი ხითხითს
ოდით ამოუცნობ შემხვედრს.

იმგვარ განშტოების ჭვალი,
ახლაც გამიელვებს ისე,
დროა შევაცურო ნავი,
ტალღამ ამიტაცოს მზისკენ.

ასე ადვილად

ო, ამ ქარიშხალის მძვინვარებამ
ისე მიმორეცხა ხოდაბუნი,
ყლორტის სამზეისო შეღერებამ,
ჟამი გამოკვეთა სიძაბუნის.

აზრი დაკემსილი შველას ითხოვს,
ქარაფს გაებზარა საძირკველი,
სივრცეს სილაღე რომ ენაპიროს -
ასე ადვილად არ გავწბილდები!

გულის უნებლიე სიფანცქალე
ძირძველ აღტკინებას აცლის ფორებს,
ისევ ჩამოქნიან წმინდა სანთლებს,
ისევ სინანული იცისკროვნებს.

რადგან თმენის მრწამსი იობია,
თურმე რა ამაოდ მიომია,
სიყვარული რწმენის სინდრომია -
ლოცვად მიმოფანტა სიდონიამ!

არ მაპატიეს

ყოველ ცისმარე ვანთე სანთელი,
ვარამის სუსხი ცრემლად ვანთხიე,
მიმოვუფხრიწე უკუნს ფარდები,
მრწამსის სიობლე არ მაპატიეს.

როცა რომ გულმა გაიხალისა,
მიმოვეკონე ყოფით მანტიებს,
ბოღმის სირენის კვნესა გაისმა,
ვარდების ყნოსვა არ მაპატიეს.

არ ვეპუები ზურგს უკან ქილიკს,
მილეთი თითხნის გულღრძო ქარტიებს,
ჩემში მოზღვავდა იმედი დილის
და გაღვიძებაც არ მაპატიეს!

სივრცის ფიასკო

ჩამოიქცა ცოდვით ზეცა,
მიწაც თანხვედრ იანცობს,
სითბოს როგორ გამოვძერწავ -
კვნესის სივრცის ფიასკო!

რადგან მსუსხავ მოძახილებს
რწმენის მადლი არ წირავს,
საწუთროს ვით მოვაცილებ
სადიდგულო ბაცილას!

მივეფიცხე წმინდა სანთელს,
გულს ოხვრით ვერ ვიოხებ,
ვარსკვლავებმა მიმოქარგეს
გალაქტიკის სიობლე.

მეყვსეულად შემოთენდა,
გაიზმორა გვირილამ,
ზენაარულ მიმოქცევას
შევეწონე ირიბად!

საწინსვლაო ზეობა

სამყაროს რომ ჩაებუდა
ქართულ გენის სიდიადე,
მთვარე ვარსკვლავს გაებუტა,
კრუხი მიწყივ იკრიახებს.

რადგან ასე ჩამსხვრევია
მამულს მრწამსის ფიალა
თავს ალმური ახვევია
ხოდაბუნის იარას.

ვერა და ვერ გამოვკვეთეთ
საწინსვლაო ზეობა,
მკვეთრად უნდა ამოქმედდეს
საარაკო მეობა.

ნურავინ ნუ დაიჩემებს,
რომ ამ ჯიშის შესძლოს ვნება...
აცისკრებულ საირმეზე
ანგელოზი გამოჩნდება.

სადღეისოდ ამ გრძნობების
სიალალეს ვერ ვშიფრავ,
საუფლისო ნაბოძები
ვისაგზლისოთ საწინდრად.

გვემცნოს, როგორ ვითავისოთ
განსადელის აღტკინება...
და ცდუნების სასაკლისოდ
ზეციერი წაგვიძღვება.

რაც არ უნდა გვაწიოკონ,
რაც არ უნდა თელონ მდელო,
ნაბიჯ-ნაბიჯ სამერმისოდ
იდღეგრძელებს საქართველო!

წუთით მაინც

როცა ბინდი ჩაებუდა სიცოცხლეს,
ეუცხოვა თანაგრძნობა შენდობებს,
სასწაულის წარმოსახვას ვიმოძღვრებ,
მთავარია, ერთმანეთის გვესმოდეს.

ვერ გვაცდუნოს სიამაყის ხორხოცმა,
ვერ მომთრგუნოს შეჭირვების ღიოფმა...
ხედავ, მთვარემ როგორ ციმციმ მოცოცხა,
როს მზის ეშხმა სხივის მადლი იოფლა.

ჩავეკონე მობრდღვიალე იალაღს,
ობოლ ვარდის სურნელებას ვემონე,
წუთით მაინც მოშუშდება იარა,
ოღონდაც და ერთმანეთის გვჯეროდეს!

მ ა ლ ე

ამ შენიღბულ გარემოცვას
ვერ ვუნახე ნიხრი,
სივრცე ნისლით შეიმოსა,
მღრღნელი ნუგბარს ხირხნის.

აგოგმანდა თემშარაზე
ავყია და მლიქვნელი,
მალე ირემს შეკაზმავენ
ჩაკვაჭული სიქველით.

ეს რა მოგვდის, ხედავთ, ხალხო -
ცამ პირჯვარი დაიწერა,
ჰაი, ჰაი, - შემოვძახოთ,
რომ იყუჩოს რუხმა ძერამ!

საომრად მიწვევს

ო, როგორ სწვდება კაბადონს
გაუშიფრავი უხმო გოდება,
სხივმა უკუნი უნდა ჩაღადროს,
აზრის სიქველე ნუ დაობდება.

არ ჩამოიქცეს საყდრის კვარცხლბეკი,
არ გაებზაროს გული გუმბათებს,
ასკილს შეშურდა ხვედრი ჭადრების,
ვინ ითავგვემა, ვის კი უმართლებს.

მიმოაფრქვია სითბო მაშხალამ
და ააწითლა მყინვარის ძგიდე,
მონატრებათა ცვარი დამშრალა,
ცრემლიც არ ჩაცხვეს ნაპრალში იქნებ.

იქნებ თასმები გაკვანძოს ისევ
მეორედ მოსვლის ეიფორიამ...
ხედავ, აჩრდილი საომრად მიწვევს,
ეს ჩემი სისხლი სიმწრის თქორია!

კვარცხლბეკის ქიმზე

როგორ შვენოდა, ერთ დროს ცახცახი -
ჩვენი ედემის ედელვაისებს...
დღეს კი ტირიფი, ტყავის გაცლამდი
კრძალვით შესტირის მთრთოლავ აისებს.

არ იკურნება, რადგან ადვილად
გულს ჩაკირული სევდის კირთება,
ამგვარ სიობლის მსუდრავ სამხილად
უკმარისობა მესაგზლისება.

უბერებელი კვარცხლბეკის ქიმზე
ჩამოდნა ფერთა ნაზი სურნელი,
ხილული ხიბლი შეფარვით მიმზერს -
გაწკიპული და განუკურნელი.

შ ე ნ ა მ დ ე

ო, როგორ მცელავს დროის ღვარცოფი,
როგორ დატბორა გარემო დელგმამ,
ვერ ვაგვირისტე სიტკბო დანდობის,
არ ეუცხოვა დასეტყვა კედარს.

ვერ მოვაღწიე რადგან შენამდე,
მიმოიფხრიწა ქალამნის ძირი,
ვით ზღვის ტალღები უნდა ვღელავდე,
ნისლის ჯოგების წინარე ვტირი.

ვერ გადავლახე განაწესები,
ზღვარგადასული ზარნაშო კივის,
ლაციცა ლანდის თრთოლვას ვეხები
და ამოვტვიფრე ძონძებზე მძივი!

სამწუხაროდ

ისე უნდა დაიხატოს
წინათგრძნობის ფერები,
რომ სუნთქვაში ჩაიბადროს
აზრი შენაჯერები.

ისე უნდა იგვირისტოს
საკეთებლის განწყობამ,
რომ მოკვდავმა სათვისტომო
განიმტკიცოს თანდგომა.

სამწუხაროდ, რა გამოლევს
საჩოთირო სერობას,
განივთებულ საგალობელს
უფლავდება ქველობა!

მოლოდინის კართან

ო, ამ ჩაქროლების სიომ
ისე ამითქორა ნერვი,
შენგან ნასხივოსნებ ღიოფს
ძლივსღა შეშრობია ცრემლი.

ძლივსღა დაბოგინობს ქარში
ღვთისგან ნაბოძები მრწამსი,
ქარაფს უღრმავდება ბზარი,
მერქანს ჩახვევია ხავსი.

ცისკრის სიკამკამის მადა
ამკობს დასაოკებ წყურვილს,
სულგრძელ მოლოდინის კართან
ნიმფებს ნაწნავები უთრთით.

დამფრთხალ შთაგონების წყაროს
ღრუბლის ცემინება ამღვრევს,
მწყერი შეჰღაღადებს ტატნობს
სხივის გაელვების თანხვედრ!

არ შევუშინდეთ

იცით, რარიგად მათბობს
თქვენგან ნაფრქვევი ეშხი,
შევისისხლხორცებ საგრძნობს
სამადლობელი კვერთხით.

ასე, რომ მარად მიგულეთ
უსათნოესთა რიგში,
არ შევუშინდეთ სირთულეს,
გავაცამტვეროთ ქიშპი.

როცა სამყროს მარაოდ
აინარნარებს ქნარი,
გაუცხოვებულ სადაოს
აეხილება თვალი!

ცოდვის მტვირთველი

სულს ხშირად ისე ეჩოთირება
არ საცნაური გზნების ნავარდი,
ვითარც მოქიშპის გასაკვირვებლად
გაიპწკიალებს მშვილდის ქამანჩი.

სავალალოა, განკითხვის ექოს,
რომ ახმიანებს ცოდვის მტვირთველი,
ეშმა უკუნის მაქციებს შეფობს,
გატრუნულია მრწამსი ძირძველი.

ამ უდღეური ელჭექის მერე
ფრთოსანთა გუნდმა შეკრა კამარა,
ცა აგვირისტებს საცნაურ ფერებს
და მოჩვენება ეძებს სამალავს!

ა რ ვ ე მ ო ნ ო

ვდგავარ კლდის ქიმზე,
ცხოველმყოფობს ირგვლივ ბუნება,
საცდურის ჯიბრზე
სიანკარე მესალბუნება.

არ დააყოვნა,
მიმასპინძლა შხაპუნა წვიმამ...
მედროვე მონა
ყბედ დემონებს განწყობას სწირავს.

ო, როგორ ნათლად,
ჩანს აქედან მოკვდავთ ფახფახი,
გამძაფრდა ნატვრა -
არ ვემონო ციურ საძრახისს!

მჯერა

შენი მონატრების სითბო,
ისე ასულდგმულებს წამებს,
თითქოს შემოქმედი მიხმობს
და მზე გვიწილადებს ალებს.

რადგან ასანთლული სხივი
ისე ესალბუნა ტატნობს,
ვნება უსაფუძვლოდ ჩივის,
გულში სათნოება სახლობს.

ციმციმ მოფარფატე ნაწნავს
ისე უთანაგრძნო ელვამ,
სილას სითამამე მაწნავს,
სიზმრის სვლაგეზების მჯერა.

უნდა დაედაროს

ისევ მაგონდები, ისევ ,
ვეღარ დაგივიწყე, ვერა...
კრძალვით მოვიღერებ კისერს,
სულის განშტოება მზვერავს.

ნუთუ ვერ გიხილავ ოდეს,
სანთელს ვერ ჩამოვქნით ერთად,
მინდა ნეკერჩხლივით ვთრთოდე,
მადლი შევისრუტო ფერთა.

შინდებს შემოენთო ალი,
ხავსი აუმწვანდათ ლოდებს,
უნდა დაედაროს კვალი,
შენი სიახლოვის კბოდეს!

გულს უგრილებს

სულიერი განსხივება
ეღობება წინაღობას,
საძრახისის გაწბილება
ნისლებს კვამლით მიაპობდა.

ჩაიქროლა ქარაფებთან
კუდაბზიკა შევარდენმა,
გაწბილება არ აცდება
გაურანდავ შემართებას.

გაიზმორა კუმ ტლაპოში,
გულს უგრილებს თქეში მდელოს,
ვერ მოძებნა კალაპოტი
აღრენილმა საქართველომ!

სულის ღიოფი

ოი, როგორ მიმუქდა
ნატიფ სულის ღიოფი,
უნდა ისე მემუხლა,
ვით ხოხავდა იობი.

ვერა, ეს ვერ შევძელი,
ვერ ვილოცე მიწურში,
ვერ განვავრცე შემთხვევით
აღტკინება მიმწუხრის.

გამოვკვეთე ნაბიჯი
საამქვეყნო, სარისკო,
უზენაეს ნაფიც ცის
მოწყალება დამინდობს!

წამის სინაზე

სიმშვიდის სიო ისე ათრთოლდა,
ისე განასკვა წამის სინაზე,
გაუსაძლისის ელამ ტატნობთან
ქარი რუხ ღრუბლის ნაგლეჯს მიათრევს.

გაუფერადდა ღაწვი რატომღაც
ოცნებით ნაკვებ მელანქოლიას,
ეს ბრმა ნისლებიც ისე ჩაცომდა,
წუთით შეცბუნდა მზის ჰარმონია.

დაამშვენებდა წრფელი იგავი,
წუხანდელ ღამის თევის შეგრძნებას,
ცამ უკუაგდო სიმწრის მჩხიბავი
და გასაძლისის ბუღი მეძნელა!

დაღმართის ზღუდე

არსებულ ნაზავს იქედნურად
რომ წარმოსახავ,
უფსკრულეთისკენ მიშვებულა
აზრი მცონარა.

ამ დაბრკოლებამ ჩაამუხლა
დაღმართის ზღუდე,
ეკლის გვირგვინი დაახურა
კომეტამ ღრუბელს.

აქ კი ბერმუხა, ბოლო წლების
სიდინჯეს ითვლის,
გულის გადახსნას არ ვეშვები
და მიღრენს ფითრი.

ვინღა

ჩამოეშალა ნასისხლი მხარი
მაცდური ბიძგის დამღრძალ ლაბირინთს,
დაეტყო შარას ბღავილი ხარის,
სისხამზე ტურა ცივად გაჰკივის.

ცამ გამოკვეთა ლაციცა ლანდი -
ვით ეფოფრება ედელვაისებს;
ჩემს გულში ისევ სიობლე ბარდნის
და გაბრწყინებას ვინღა მაღირსებს!

ეჰ, რახანია ვერ გავემიჯნე
ვულკანის მხუთავ ტრაექტორიას,
მზის ჩაღიმებას მიმოვეფიცხე -
რომ ვესალბუნო სულით ფორიაქს!

განსჯის ფურცელი

გზადაგზა როცა იფეთქებს ელვა
და ყოჩივარდებს ქარი დაზაფრავს,
მინდა, რომ შენი გულისთქმა მესმას
და განმიქარვოს ურვა მაზანდამ.

მაგრამ არ არის ეს ის სურნელი,
რაიც რომ შვებას ნაზად მოსცრიდეს,
ვაცრემლიანე განსჯის ფურცელი,
კვირტებჩამზრალი ყლორტი მოვწყვიტე.

თანმიმდევრული ეს აღმაფრენა -
იმ განშტოების ტრამალს მოჩირკნის,
ღვთაებრივ სუნთქვას ვიგრძნობ ნამქერად
და შემიფარებს ჩრდილი კოპიტის!

იქნებ გულზე მომეშვას

არემარეს მოედო საძრახისი თარეში,
თემშარაზე იმატა ჭილყვავების გნიასმა,
შიშმა გაიპწკიალა მოციმციმე თვალებში,
ღვარძლიანი ტალახი ქარაფს შუბლზე მიახმა.

ბრიყვი ზოგჯერ ანაზდად ყალიბდება პედანტად,
სამათრახე გზირებმა ქარი გააგულისა,
ღამენათევ ფერიებს სიკეკლუცე ეწადათ,
განსაცდელის სიმძაფრე მივიჩნიოთ უფლისად.

ძნელად ჩამოიცრიცა ღრუბლის ანომალია,
მზემ თვალები აუწვა ნაყაყანებ გომბეშოს,
იქნებ სიმი ავუწყოთ სამხილეთის არიას,
იქნებ სულმა იბრწყინოს, იქნებ გულზე მომეშვას!

თავკერძა წყენა

ისე ჩასაფრდა ჯმუხი დაისი,
ისე განავრცო სუსხის თარეში,
ღვარცოფმა თითქმის შთანთქა ხალისი,
ლამის ჩაბჟირდეს სული მახეში.

გამოიკვეთა მოყვასის რისხვა,
სივრცემ ისრუტა შლეგური აზრი,
ნისლები ლამის ეშვებად იშვა,
ალქაჯი მთვარეს კოფოზე აზის.

თითქოს ჩამესმა ვარსკვლავთა სტვენა,
მეც ვეხმიანე ნაგვემი ხვნეშით,
ძნელად შუშდება თავკერძა წყენა
და აცოდვილებს სამყაროს შეშლილს!

რა ნაადრევ

არ ჩამქრალა მონატრების
მოკიაფე სვეტი...
შენამუსრი მონასტერი
უფლის სითბოს ერწყმის.

ნანგრევებზე შემოსკუპდა
თვალნაცარა ჩიტი,
ნაუცბათევ ამ ჩემს უსტარს
დაეკვება ფითრი.

უშენობის სუსხის ქროლვა
ითავისა განწყობამ,
რა ნაადრევ ჩამოთოვა -
საცნაურის არცნობამ!

მიხსენ უფალო

ისე ჩამავლო ბოროტმა ბრჭყალი,
ძლივსღა ვპურწყალობ,
ლამის გამთანგოს, ნირწამხდარი -
მიხსენ უფალო!

მონუსხულია გარემო მწყრალი,
ნისლი სუდარობს,
არ ჩამიღამდეს მახვილი თვალი -
მიხსენ უფალო!

სასწაულმქმნელი ბრიალებს კვარი -
ჟამსასუფთაოდ...
წარმოისახა ციური ჯვარი -
მიხსენ უფალო!

ფიქრის ქარბუქი

თვალებს ვაცეცებ ვით თოთო ბავშვი,
საგრძნობ სიამის სითბოს დავეძებ,
დაისის სიო აშრიალს აშლის,
მწუხრი ედება მსუსხავ ნარ-ეკლებს.

კვლავ უგზო-უკვლოდ დავეხეტები,
ვერ დავაოკე ფიქრის ქარბუქი,
ვერ ამოვძირკვე სიმწრის ფესვები,
წილხვედრ განსაცდელს მაინც არ ვუფრთხი.

ვერ მივაღწიე უფლის სახლამდე,
წინსვლას აბრკოლებს აღმა დინება,
უკუნის მხუთავ ხვატის ნახვამდე
ცდომილი გეზად ამობრწყინდება.

ფარისევლის ფანტომი

ეჰ, კრავი ვარ, მოჩანჩალე,
დამაბრკოლა სიავემ,
თუ შენამდე მოვალ მალე,
რაღა გამატიალებს?!

შენი სითბო ვიგულისხმე,
რამაც შექმნა სამყარო,
მოკვდავმა ხომ საუფლისე
თავი უნდა დახაროს.

ფარისევლის ფანტომია,
აჯეჯილდა ავი დრო,
ცოდვა მხრებზე დასწოლია -
ვინაც გული გამიპო!

შ ე ფ ე თ ე ბ ა

როცა ყველაფერი სულერთია,
როცა წარმოსახვა კვნესის,
როცა უცხოობას მიელტვიან,
ვინღა დაარწყულოს ფესვი.

ვინღა აიშოლტოს ფრთები,
ვინღა მოეჭიდოს ნისლებს,
თუკი ბევრ რამეში ვცდები,
ამოდ ვისაგზლისებ სიზმრებს.

მაინც მომეფერა რადგან
ამგვარ განშტოების ქნარი,
ო, ამ გადარაზულ კართან
სარკმელს გაუღრმავდა ბზარი!

შერკინება

ეჰ, ეს დღევანდელი ურვა,
წარსულს აექერცლა ფესვზე,
იას ჭინჭარი რომ სუსხავს
ცრემლი აუგორდა ვერხვებს.

მთვარემ ჩაიმუხლა თითქოს,
ვარსკვლავს აექოჩრა ქეჩო,
ზვარში მოძახილი მიხმობს,
ბაგას მოვაშორე ჩენჩო.

აუ, როგორ მიჰქრის გედი,
როგორ გატრუნულა ტურა,
ჩამცხრალ მისტიური ხედვის
ხიბლი ერკინება ბურანს!

გრძნობის პირველწყარო

რადგან აპრიორად გეჭაშნიკა
გულში ჩათხრობილი სითბო,
წამი ფერთა ცვლას რომ ესაკლისა
დრტვინვა აგვირისტებს მითოსს.

როცა ჩავიხედე შენში,
როცა თანაგრძნობა მიხმობს,
როცა ვიმწყურვალე პეშვით,
მაშინ ჩავეკონე სინდრომს...

ო, ამ ნაუცბათევ წინსვლამ
ისე გადანამა მდელო,
ციმციმ ჩავეჭიდე სიზმარს
და მზის გაღიმება ზეობს!

არ დანებდი

ყელს იღერებს ნაზი გედი,
განდეგილობს, იმორცხვებს,
აუთრთოლდა თივთიკ მკერდი,
ეხუტება მიმოზებს.

შორს ვერ იფრენ, რადგან ამფერ
ჩაიყუჩე ფრინველო,
გულის ტკივილს როცა ამხელ
სული ვეღარ მლიქვნელობს.

როს მოშურნემ შეგამჩნია,
უმწეობას არ დანებდი,
რაც ნაღდია, რაც შენია -
განიმტკიცე ალავერდით!

უტყვი იმედი

ყვავილთ სურნელის თქორით
გაბრუებულა მდელო,
ვინატრე გულის სწორი
და სანუკვარი ჩერო.

უკიდეგანო ფიქრში
დავლაშქრე ცა და მიწა,
უსასრულობის ნისლში
უტყვი იმედი იშვა.

თვალი ვუსწორე ტატნობს,
მზემ გაამძაფრა მზერა,
ქვეცნობიერის საგრძნობს
თავდავიწყების სჯერა.

ფსიქე აწვდიდა ეროსს
სასიყვარულო სასმისს,
გააჭიატებს სფეროს
თავდავიწყების მრწამსი.

ს ა ქ ი ლ ი კ ო

ცივ თვალების ანაცერი
მიმოევლო არემარეს,
ღვარძლს რომ გარსი ავაფცქვენი,
რისხვას ვეღარ დავემალე!

ეხ, რარიგად დაიქსელა
ჩემი სულის ლაბირინთი,
საქილიკო საისრებად
მომეშვირა ავი თითი.

უთავბოლო სარკაზმები
უგზო-უკვლოდ ჩაიცრება,
უზენაესს ვეაჯები -
გვიწინამძღვროს მოთმინებამ!

საიქიოს მახვილი

ცისქვეშეთში ჩამობნელდა,
შლეგობს ჟამი სიმორცხვის,
განსაცდელმა გამოძერწა
შესანიღბი სინდრომი.

რადგან უფრთოდ გამიფრინდი,
ვტუქსავ მეგზურ ქარაშოტს,
იმ პირველი დანაფიცის
წარმოსახვა მდარაჯობს.

ბრმა მომავლის მცხრალ ნაზამთრალ
გაზაფხულებს დავტირი.
გულმდუღარეს ძნელად ნაცრავს
საიქიოს მახვილი!

ნუღარ იტყვი

წარმოსახვამ ფანატიზმი
იმ დონეზე აბრდღვიალა,
აჯეჯილდა ბარბარიზმი,
ყვავი კორტნის ჩელტის კარავს.

არგუმენტებს ნუღარ იტყვი,
დაირაზმნენ მარქაფულად,
ხიდან ხეზე მხტომი ციყვი -
რა უაზროდ გაქაფულა.

უგერგილოდ აიქოჩრნენ
ხოდაბუნის თავთუხები,
როს ჩამოვხსნით ნიღბებს მონსტრებს -
სასიკეთოდ ჩავყუჩდებით!

სათქმელი გახუნდა

ო, ეს ამდენი წიოკი,
სულის თუ ხორცის ვაება,
დაუდგრომელი სიობლით -
შენდობას შესთხოვს ღვთაებას!

რამეთუ ვითომ ნავარდი,
იმდენად გაუფასურდა,
მოკვდავი მუხლზე დავარდნით
მიაფუჩეჩებს საზრუნავს.

ისე გახუნდა სათქმელი,
დაკოჟრიანდა სარანდი...
ნამცეცა ფიფქის ფანტელით
უჯრედის ფესვებს ვცვარავდი!

მ ა დ ლ ი თ

ო, ამ ყაყაჩოთა კასკასი,
ისე აფერადებს სათქმელს,
ღრუბლის ჩაყლაპული ნაფაზი
სხივის შემოტევას ამხელს.

თან ამ ქარაფების ექომ
ლამის ააცეკვოს ნისლი,
იმ ბრმა ხვაშიადზე ვმსჯელობ
სუნთქვის აურას რომ მისვრის.

ცისკენ აშვერილი ხელი
ისე გამომიწრთო ურვამ,
თუგინდ გამიმრავლდეს მტერი
მადლით ვეგებები ბურანს!

ყოფის დილემა

ეჰ, ერთგულება აღარ ამართლებს,
არადა ვიწვი თხემით ტერფამდე,
ჩამოეღვინთათ ცრემლი ქარაფებს,
გაუფერმკრთალდათ სხივი კელაპტრებს.

ღმერთო, დათრგუნე ყოფის დილემა
და გვიწინამძღვრე კიდით კიდემდე!...
გაიწკარუნა აზრის სიმებმა,
იმედის მრწამსის ქროლვა იმეფებს.

დასახვეწია მშფოთვარე განცდა,
ბოროტს დაებას ხელი მსახვრალი,
ამ უხიაგი სიცოცხლის მარცვალს
მარადისობის ეგრძნოს ფანცქალი.

ვერ ვითავისებ

სიტყვის ქვეტექსტი, როს ათრთოლებს
ბაგეს უჩუმრად,
სისხამზე მიწვევს საამბორედ
საყდრის ჩუქურთმა.

ო, სინანული როცა ასე
მეუცხოვება,
ვერ ვითავისებ მოკასკასე
სულის ცხონებას.

ჰოდა მივყვები, ხოდაბუნის
მიღმა ღრანტეებს,
ეს ორჭოფული ბრმა საცდური
სივრცეს ატყვევებს!

განწყობის დვრიტა

თვალი შევავლე აშოლტილ კედარს,
ნიავი კრძალვით ატოკებს ყლორტებს,
მიმქრალ ნაღვერდალს ვუღვივებ კერას,
ძველი ფარდები სიახლით მოვრთე.

გასაუცხოებ სიბრძნის შემყურემ
აშკარად უნდა ამოვიგმინო...
კრიახი აღარ ისმის დედულეთს,
აიშრიალა ფრთები მიმინომ.

ჩასაკირკიტე ნაცოდვილარით
გამოიკვეთა განწყობის დვრიტა,
დასალიერი ისევ წინ არის,
ხელში ჩაადნა ნამქერი ხიფათს!

დ ა ს ა ხ ვ ე წ ი

ვერ ავუღე ალღო
ნაუცბათევ განსჯას,
ყვავილნარის ახლოს
სივრცეს ბუღი ფარცხავს.

ჩაეხლიჩა სიმი
აღტკინების ექოს,
ხორცმეტების ბღილი
ასწვდა სულის ბექობს.

დასახვეწი რჩება
ლოგო მატიანეს...
ეს ციური გზნება
წუთით მაფრთიანებს!

არ თმობს

მრწამსის სიობლე ძერწავს
უსამართლობის ფესვებს,
ღამეს ძონძები ეცვა,
მთვარე დასაყრდენს ეძებს.

აუცახცახდა გვერდი
თვითდაჯერების ნაყოფს,
ქარი უდაბნოს წეწვით
წინსვლის წინა ხაზს არ თმობს.

ზნეობრივ თრთოლვის ნუსხა
აუბრალოებს მზერას,
სიმართლის ყლორტი სუსხავს
ცრუდ მობაასე მზვერავს!

სამოთხის სიო

ჯერ არ ჩამქრალა ჩემში,
იმ შთაგონების წყარო,
როს სიყოყოჩეს ვებრძვი
და მოღრუბლულშიც ვდარობ.

ნურვინ მიმიჩნევს შლეგად,
როს ვეკოპწიე ტატნობს,
მინდა ყაყაჩო მერქვას,
გული მიცემდეს სანდოდ.

ჰოდა - სამოთხის სიო
ჩემს შემოდგომას ერწყმის,
ტალღა აეჭრა იორს,
განაბულია ვერხვი!

შინაგანი ნათება

სივრცეს ისე ამკობდა
სასიკეთოდ ნათქერი,
სასიამო განწყობად
ქარაფს ქერცლავს ჩანჩქერი.

სულის აწიწმატება
ესადაგა ქარიშხალს,
სურვილს ჩქამი დაება,
ელვამ ნისლი ჩაცინცხლა.

მაინც ამიციაგდა
შინაგანი ნათება,
გადაცხრილულ იალქანს,
ქარი გვერგვავს საცრებად.

შ ე მ ო დ გ ო მ ა

როცა გაბადრული შემოდგომა,
ბუღის დავიწყების საწყისია,
წარსულს ქანდარაზე მიეთოვა,
ცრემლი ითავისებს თვის მისიას.

ისე გამიტაცა ნაკრძალებმა,
მგონი ეს ჯირითი მალამოა,
სიო გაღიმებას მაძალებდა,
ცაცხვი ხოდაბუნის მარაოა.

ჰოდა, ფოთოლცვენის ჰარმონია
მზისგან ნაბოძები ჭაშნიკია,
ბორცვებს შებერება დატყობიათ,
დღეებს ველოდები ქარიშხლიანს!

სინამდვილის შეგრძნება

რადგან მსუნაგ თანხვედრას
უჯეჯილებს სამკალი,
ძერამ სიო გახედნა
თოლიების კანკალით.

ამ უცნაურ არაქათს
ეტმასნება ღამურა,
საწინსვლაო დაზაფვრა
იწილადებს საურავს.

ტატნობს ერგო საკმევლად
სინამდვილის შეგრძნება,
უთანაგრძნო განკვეთას
განტევება ეძლევა!

გაუფასურდა

როს ციბრუტივით დატრიალდა
აზრის მარქაფი,
გაუფასურდა სატიალე
ჯანყი სარკაზმის.

ჰო, მაგრამ როცა მოპაექრე
ჩხრიკავს ნაღვერდალს,
გაუცხოების ვიწრო სანგრებს
ღვარძლი ჩახერგავს.

არა, არ უნდა აგაცქმუტოს
ხიბლის ზმანებამ...
ამ სამხილების სასაცდურე
თრთის უკარებად!

ციდან ნაპკური

გაუცხოების გაფხორილ საზღვარს
მიმოათრთოლებს გამჭოლი მზერა...
სისხამს ბუნების სიცხადე ახლავს,
ღრუბელი ღამის ქარაგმას კერავს.

სათუთი გრძნობით ნაკვებმა სივრცემ
სულიერ მრწამსის ამკო სიმები...
პეშვებს ანკარა წყაროთი ვივსებ,
მწველ წარმოსახვებს ვესიმწრისები.

ამ გულისწყრომას როცა განკურნავს
ციდან ნაპკური შხეფი იაზმის,
აღარ გამოსცრის ბაგე სამდურავს,
ქორბუდა შვლის ნუკრს თავთავს მიაწვდის.

აღარ მინდა

ეშმამ ჩაახველა -
თუ ბრბოს გნიასია?!
ბრიყვთა თვალთახედვამ
უფსკრულს მიგვასია.

არა, აღარ მინდა
როლი საორჭოფე,
ცრემლი ჩამოსდინდა
კულისს ნაოჭებზე.

ელვამ დაიქუხა,
შარა ატალახდა,
ბერმა ჩაიმუხლა -
მაჯის გასამართად!

ამჯერად

ო, ამჯერად -
მხოლოდ ისე გაიღიმე,
რომ მაგ გულში
ხინჯები არ დაიტოვო;
ყავლი რომ არ
შეეპაროს დანაპირებს,
ღრუბლის რისხვამ
სულს არ უნდა მიათოვოს.

გაიღიმე,
რომ აეწყოს ისევ ქნარი,
მანანებმა
მიმოქარგოს ცა და მდელო...
ასხივებდეს
არემარეს კელაპტარი
და თანხმობის
სიანკარემ გვისაშველოს!

ეძებს

წარმოსახვა როცა ჭარბობს
რეალობის ნაზავს,
მოკეთეც კი ისე ნავსობს,
მიმოაფრქვევს ავდარს.

მიდამომ რომ შეითვისა
სეტყვის ვადადარია,
ეზმანება მაშინ მიზანს
საქილიკო მანია.

ეჰ, რას ვიზამთ, ნიაღვარი
ეძებს თავის კალაპოტს...
გაცვეთილი ნეშომპალი
კენკრებსაც კი ჩაალპობს!

არც რა

მაგ მონატრების სითბო
ისე აღვივებს კერას,
ვით ყოვლისმომცველ მითოსს
სასწაულების სჯერა.

არც რა რაიმე ახალს
ვერ წარმოაჩენს აზრი,
მხოლოდ სიკეთე მჭვალავს
სასიქადულო კადრით.

შემოენთება ბექობს
საგანთიადო ელვა,
მთავარია, რომ გენდო
და ვიგუგუნოთ ერთხმად!

ვერიდები

რა ანაზდად შეიფერთხა
ამ ბერმუხას ტოტები...
მინდა რაღაც ისე მეთქვა,
რომ ჩავცხრილო ცოდვები.

ეს არაგვიც, აქ რარიგად
მოაცურებს კუნძებს...
ვეწირები ღვარძლს ტარიგად,
გული რას არ უძლებს.

ვერიდები მაკვარანცხებს
და ავყია უძღებს...
როს განგება მირონს მაცხებს
სტრიქონს ვასათუთებ!

ერთი ასად

ყალბი ღიმილის სითბოს
სჯობს გაემიჯნო ერთობ,
დაკოჭლებია ხვითო
მელაკუდების ერდოს.

მიმოაგორებს კოჭებს -
როს დასჭირდები მავანს,
ვინ უსაგზლისებს ჭორებს -
წინსვლის წამიერ ფასადს.

თუკი ამგვარი ბჭობა
ჯდებოდეს თუნდაც ფასად,
მედროვეეთა გმობა
ბარტყობდეს ერთი ასად!

არ გაჰყვება

როს დაყნოსა მსუნაგმა
და შეიცნო მსგავსი,
აჩხრიალა ყულაბა,
ასულდგმულა ნავსი.

თითქოს ტვირთი მოხსნესო,
ისე გაიცუნდრუკა...
თუ ყამირი მოხნესო -
თესლი ხარობს უკუღმაც.

არ გაჰყვება მარადისს
სალხინეთის გნიასი,
ჯოჯოხეთის კარამდი
დაძრწის ხიბლი იაზმის.

ი კ ვ ა ლ ი ა ნ ა

სულის სალბუნის ღიოფი
შეება სიმწრის მხილებას,
წყენის ჩქამს ვეღარ მიმოვთვლი,
შენდობა მესატყვისება.

თუ იშვიათმა ჰანგებმა
იკვალიანა უფლიდან,
მრწამსი ამაოდ არ ქრება,
ღრუბელს მზის ცრემლი უკვირდა.

ამგვარ ფიქრების ნავარდი,
რომ ვერ შეიგრძნო გზა-შარამ,
შორეულ ტაძრის კარამდი
ბინული ხორხში ჩამშრალა!

ს ა ე რ თ ო

განწყობა რომ იბღვირება
განკითხვისა და განსჯისა,
თვით ორგულის ბეც მხილებას
მოჩვენება გადასინჯავს.

ეჰ, რადგანაც ცას და მიწას
საერთო არ დაელევა,
მზეს ღრუბელი ისე ფილტრავს,
აცხრობს მდელოს ამტვერებას.

კმარა, რადგან აზვირთება
ნასეტყვარი ტალღებისა -
დაღვრემილი გაწბილება
საავკარგოდ გამესხვისა!

ბევრს ვერას

რაოდენ მომწიფებულა
თვალთმაქცობათა სიამე,
ის ვინც წუთიერ ქებულა,
უფალს ბევრს ვერას მიაგებს.

რადგან მზე ისე აცხუნებს,
ჩათუთქულია სვლა-გეზი,
საჭოჭმანოს და სამკურნებს
სიზმრის წიაღში დავსდევდი.

გააპირქუშებს ბექობებს
სიცხადის განაწბილები,
ღვთიურ ნიშნებას ვეფოფრე
მომავლის დანაპირებით!

დ რ ო ზ ე

მჭვარტლი ბოლავს მიწიერთა გარშემო,
ყლორტი მყარად ეჭიდება ჭიგოს,
საზანდარი ისე მინდა ვაჟღერო,
რომ ჯიგარი აუტოკდეს დიდგორს.

ისე უნდა ანათებდეს პირიმზე,
რომ ყვავილებს ცრემლი დროზე შეაშრეს,
გული წყენას რადგან ძნელად ივიწყებს -
გზები თანხვედრ ჩაიხერგა შენამდე.

სიო მაინც იმ დონეზე მამშვიდებს,
რომ განწყობას მივუჩინო ადგილი,
სანამ ქარი თმებს ბოლომდე აშლიდეს,
დროზე უნდა მოვიხვიო მანდილი!

სარკმელს ვუღებდი

დღევანდელობის ეს ქარაშოტი
წარსულის სიოს მონაბერია,
შეყინულ ცრემლებს მაინც ვალღობდი
და ვარწყულებდი ობოლ ლელიანს.

ისე მთუთქავდა განცდები გვემის
სარკმელს ვუღებდი მიწის აურას,
დღეს ეს ტოროლა იმგვარად მღერის
მზეს ღრუბლის ფრთები ეუცნაურა.

ამ დაკოდილი გულის სიმებიც
წამით შეერწყა მთების სონატას,
ძილგატეხილი დილის იმედით
მომავლის მრწამსით ვკვებავ მონაგარს!

პ ი ნ გ ვ ი ნ ე ბ ი

ჩირგვში უშნოდ მიყუჟულან
მოტიკტიკე პინგვინები,
ანგელოზმა მიჩურჩულა:
"ნუ განიცდი, ნუ ფითრდები...

ნუ აყვები ღრძო ბუნების
საპიარე ოინბაზებს,
ერთგულების რუდუნებით
მოილოცე ლომისაზე".

ჩაეჭიდა ქარაფს ჯიხვი,
შეკუნტრუშდა ქორბუდა...
გათოშილი ღამის ჭირხლი
ალიონმა მოგუდა.

სიმარტოვის ხიბლი

ციდან ჩამოსხმული სვეტი
მწველად აკიაფდა თვალწინ,
სიო წარმოსახვას ერწყმის,
ვარდებს შეეფაკლათ ღაწვი.

თანხვედრ დამთქნარების სითბომ
უცხოდ აათრთოლა სული,
ელვა მზის ტატნობზე მიხმობს,
ღრუბელს დასკდომია ცური...

ხმა რომ შემოესმა მეხის
ცერად ჩაეღიმა კირჩხიბს,
სივრცეს შემოენთო წნეხი,
გაკრთა სიმარტოვის ხიბლი.

უბრად ავედევნე სიზმარს,
ჟამის უარყოფა მღლიდა,
ჟღერად სამადლობელ სიტყვას
დროზე ვერ მივაგებთ იღბალს.

რადგან აკრძალულის კბოდეს
მაინც მივუყვები რისკით,
ბრბო რასაც არ უნდა ბჭობდეს,
შედეგს მომავალი იმკის.

მ ე რ ა მ დ ე ნ ე დ

ქეჩო მკვთრად მოიქექეს
ნაზამთრალმა ციყვებმა.
ჩაეღიმათ მიწყივ ვერხვებს,
ოფლი ხნულში იღვრება.

ამ ყურცქვიტამ მერამდენედ
ისე შეიკუნტრუშა,
ვითარც ვერვინ შეაჯერებს
გოზინაყს და ფუნთუშას.

ტყის ბინადართ არ უცდიათ
სამწყოს გაჩანაგება,
მაგრამ თავად ჩაუქრია
ბრიყვს საუფლო ხატება.

ტირიფს ძეწნა ეამბორა,
ცრემლი წასკდა ორივეს,
დათვმა ცალყბად გაიზმორა -
ჩასცხო ტორი მორიელს!

სიკამკამე

წუთისოფლის სარეცელში
მიჯაჭვული მწირი ვარ,
ქარიშხალს რომ გავექეცი
ყვავილნარში ვტირივარ.

დაბნეულმა ჩავიმუხლე,
სხივმა აზრი ჩაღვენთა,
თავს ვერ ვუყრი სათქმელს უთქმელს,
გულს ვუჩხრიკავ ნაღვერდალს.

ერის წყლული ვითავისე,
ერთგულების ვიწამე,
დრო და დრო მრწამსს მიხალისებს
ხოდაბუნის სიმწვანე.

როცა სულის სიკამკამე
აფრთიანებს გზა-შარას,
შემოენთო არემარეს
წრფელ ოცნების მაშხალა.

ბალაგნის ჩრდილში

როს იბრწყინვალა სისხამის ფუნჯმა,
მიმოიქარგა ყოფითის დროშა,
წაიტიკტიკა გულღია მუნჯმა,
ძარღვებში სითბომ გაკვესა შროშანს.

რით ვეღარ მივხვდით წუთისოფელი,
რომ მიმოაფრქვევს ბალღამ სამსალას...
სიკეთის თქორის განმსხვისებელი
ბალაგნის ჩრდილში უბრად ჩამჯდარა.

დროა, შევჩივლო სულის დოსტაქარს,
დროა, იხედნოს კუნტრუშა კვიცი,
თხუნელა მოხნავს თავის მოსახნავს,
სვრელის ბოლოში მიქელა იცდის!

ჟამს ეწირება

როს იქუფრება წუთი ცხოვრების,
ბოღმა რომ დაღრღნის თავის უფლებას,
ჟამს ეწირება სანუკვარ გზნების
განზოგადების ადაპტირება.

მხუთავი ლავა ეხლება ქარაფს,
სხეულში მბურძგლავს და მეტირება,
ღრუბელი ბუღის აირებს ჩქმალავს,
გამძაფრდა სულის შემობინდება.

გაოგნებულა მსაჯულთა დასი,
ვერ განაქარწყლეს ბრალმდებლის რისხვა,
მთვარემ მიმოწნა გვირგვინი ხავსის,
მზე ცისარტყელის სიობლეს კვირტავს!

ა, ეს ღალატი

ო, როგორ მითრევს
ამ ჭაობის ვადადარია,
წუხანდელ სიზმრებს
გასჩენია გულღრძო ბზარია.

ზნედაცემულთა
სიჯეჯილე კვლავ აზარფეშობს...
და შექებულა ყიამყრალთა
მრწამსი საეჭვო.

ა, ეს ღალატი,
რა ნაგვიან ნაცარში ცურავს,
მხარს ქერცლს ჩავაცლი,
სახვალიოდ ვაელვებ გუმანს!

ოდნავ მაინც

მაძაგძაგებსს ავის ქნარი,
მრწამსს როგორღა მივენდო?!...
ცოტა მაინც, ოდნავ მაინც
დავედაროთ იესოს!

ის, რაც ოდენ საჩოთიროდ
მიამწუხრებს განწყობას,
არაოდეს ვაფოფინოთ
წარმოსახვის საწრთობად.

მაგრამ მაინც ეს ოხერი
ცოდვა-მადლი ტრიალებს,
მუხთალია ეს სოფელი,
წვიმა თქორავს იარებს.

გულს მიღონებს ასე რაიც -
ვისღა უნდა მივენდო,
ცოტა მაინც, ოდნავ მაინც
დავედაროთ იესოს!

თ ვ ი თ მ ა რ ქ ვ ი ა

სხივის წინწკლი დაეფერფლა
ცრუ ბრალდების ნუსხას,
დინოზავრის ნატერფებთან
ვარდს ჭინჭარი სუსხავს.

დითირამბი დააყარეს
გადაღეჭილ ფრაზებს,
შენიღბული სისადავე
ცივ უჯრედებს ავსებს.

ოინბაზის გადამკიდე
სიმწრის ღვითქმა იკვესა,
აექერცლა ღაწვის ძგიდე
თვითმარქვია პრინცესას!

უტყვი გაბრწყინება

ცას შემოენთო ცისარტყელის ერთადერთობა,
ამომშრალ თვალში ჩამეხიდა სევდის მაშხალა,
მადლია, როცა თანამგრძნობნი ერთურთს ენდობა -
თრთოლვის სიწითლე უიმედოდ აღარ ჩამქრალა.

ჰოდა, ალმური რომ ჩათუთქავს ნაფერებ სივრცეს
და ათინათიც საუცხოოდ აიშოლტება,
თითქოს ვარსკვლავთა ნაცრემლებით განწყობას ვივსებ,
საკურთხეველთან ჩაიმუხლა წუთით ოცნებამ.

მაინც მივყვები ფეხაკრეფით დროის დინებას,
ძლივს ვეგუები ნაუცბათევ წაბორძიკებას,
უფალმა მოდგმის განტევების ვნება ინება,
მომავლის უტყვი გაბრწყინება მესასტიკება!

მოკვდავის ვალი

როს ჩაყუჩდება ვარია,
ტურა რომ იწყებს გნიასს,
მაშინ მოკვდავის ვალია,
არ დაუზავდეს წყვდიადს.

მაგრამ მთავარი ის არის -
ვით აცოდვილებ ღამეს...
ნაწრთობი ბედის ისარი
გააშანშალებს ღარებს.

ყოფიერების ვარამი
თუ არ გიბჟუტავს თვალებს,
როს ჩაბჟირდება წკვარამი,
რიჟრაჟი ღრიჭოს აღებს!

წრებრუნვის ხილვა

შლეგ წარმოსახვას ვერ ვემონები,
ვერ ამიტაცებს მაცდური მცნება,
განსაცდელებით შენაღონები
მრწამსის ვარსკვლავის ციაგი კრთება.

თუხთუხებს ცრემლი სევდის ქილაში,
ასე ადვილად ვერ დავიცლები,
მზემ დააპურა მდორე მირაჟი
და ნასათუთებ მადლით ვივსები.

ო, როგორ მოლბა მწვერვალის ყინვა,
ხმა შევაწონე მეწყერის გრიალს,
ამ ზეციური წრებრუნვის ხილვას -
აუხდენელი სიზმარი ჰქვია!

აზრით მწირი

ბალაგანში ჩამომსხდარი
ცრუ მესიტყვე, აზრით მწირი,
თუთქითაა გამომცხვარი,
გულით არა - მძორით ტირის.

ჩაჰფრენია სისარკაზმეს
და ბრიყვთათვის ოინბაზობს,
ვერასოდეს იკამკამებს,
ჭუჭყი არის მისი საზრდო.

აექოჩრა კვიცს ფაფარი,
ზებრამ უშნოდ გაიზმორა,
იმოძღვრება როს ცარგვალი -
მიეცება მოკვდავს ფორა!

შ ე ნ ღ ა

მძაფრად გაიქროლა წლებმა,
დაფრთხა მოღუღუნე გედი,
სულში მზის ანარეკლს ვკემსავ,
აზრი მდუმარებას ერწყმის.

რადგან გაწბილების კრედომ
ისე მიმოხვეტა შარა,
აბა, ვისღა უნდა ვენდო,
ეშმა ახორხოცებს ფარას.

მაინც ვერასოდეს წავშლი,
შეშლილ ნაბიჯების შტრიხებს,
ცხადში დასახვეწი მარში
მსუსხავ მეტაფორებს მიქებს.

სივრცეს ჩაეკონა ჩქამად
ქვეყნად მოვლინების ექო,
გულს რომ უნდობლობა ბზარავს -
შენღა მაიმედებ ღმერთო!

დროა, მიდი

როცა შიფრავს ყიამყრალი
მოჩვენებით რაობას,
ხელს შეაცვდა სიტყვის ყავლი,
სულიერად დაობლდა.

ზოგი ძნელად აღიარებს
ამა თუ იმ შეცდომას,
ამბიონი საპიარე
ლაილაით შემოსა.

დროა, მიდი, არ გაწბილდე,
იფუცხუნე, იგვემე,
ჟანგი ოფლით ჩამოწმინდე
დაუდგრომელ სიბერეს!

რა უგერგილოთ

ფიქრებმა ისე შემომიტია,
შიშის სინდრომი ამეკვიატა...
რა გულსაკლავად კვნესის ნიბლია,
აატორტმანა ტალღამ იახტა.

ვუჭვრეტ შემცბარი ნაპირის სივრცეს,
მზე ეხუტება ცის დასალიერს...
მსწრაფლ აგიჟმაჟებს თოლია კისერს,
ლაჟვარდი კარგავს თვისებრივ იერს.

ამ ახალშობილ ძონძ უკუნეთში
სეტყვამ ჩაქოლა ელვის მაშხალა,
რა უგერგილოდ ბორგავს მილეთი,
დელგმამ დემონი მიასავსავა.

ო, ყოველივე ამის შემყურემ
ვისიგრძეგანე წუხილის ხიბლი,
მყოფადის ბუტკოს ისე ვეპკურე
შემოეცრიცა დამზრალ ყლორტს ჭირხლი!

ვერ ჩამოქნის

ერთს რომ ეტყვი და ოცს მოგაძახებს -
შეპყრობილია ქაჯურ მანიით,
გაიცუნდრუკებს ეს სიქოფაკე -
ვით დილეტანტი ძირძველ არიით.

არ დაოკდება ბინდის ქოთქოთი,
ტაშ-ფანდურიც ხომ არ იგვიანებს,
ეჰ, ვერ ჩამოქნის სანთელს ბოლომდი,
ვერ წარმოაჩენს ბოღმას სიამედ.

ვერ გაასხვისებს ტაფამწვრის სურნელს,
ვერ დაუდგება მოყვასს თავდებად,
ვინც ყოველივეს ამრეზით უმზერს,
ვით ბრმა ფარვანა - ისე ჩაქრება!

ის მეობა

ეჰ, ეს ჩაციკლული თაკარა
ცდილობს შემიზღუდოს სუნთქვა...
ბილწნი სანაგვეთში ჩამპალან,
სივრცეს ბუღის ქროლვა ბურძგლავს!

ციმციმ გადმოგდებულ ანკესს
ისე წამოეგო წამი,
ლამის ელვის ბწკარი ჩაქრეს,
მთვარეს შემოადნეს მხარი.

მაინც ის მეობა მგეშავს,
რაც რომ უფლისაგან ზეობს,
კრუხებს ორღობეში მკვნესართ
შარა განუსხივე მზეო!

გზადაგზა

მოკვდავი რომ ისე შეჰყეფს,
ვით დამფრთხალი გოშია,
აუცრია კოჭი ეჭვებს,
დროს ჭანჭიკი მოშლია.

შემოენთო როს ალმური
სახვალიო განწყობას,
უნებლიე ალიყურის
იკაზმება გაწრთობა.

გზადაგზა რომ იფანტება
უარყოფის წინწკლები,
ნაჯახირებ სიმართლესთან
ჩამოცუცქდნენ ნიმფები!

წყურვილის ვარდი

ღვთიური მრწამსის ნაქარგი
როს ჩაეხვია სფეროს,
საწუთროს მსჯავრთან დავზავდი,
არ მოიწყინო ერო!

არ შევუშინდეთ ქარტეხილთ
რაც სტიქიურად იშვა,
ამ ხოდაბუნებს დამეწყრილთ
ცრემლი მოსწმინდა ნიმფამ.

რა საუცხოოდ ჩამესმა
ნაზარეველის ჩანგი,
სამარიტელის საქებრად
ყვავის წყურვილის ვარდი.

შემოენთება ქარაფებს
ეს სასიამო სითბო,
თავგანწირვა რომ ამართლებს -
ააფრთიანებს მითოსს!

თუ შეიკრა

ღვარძლს თუ აზრი დაატანა,
თუ შეიკრა ჯადოდ დასი,
იჯეჯილებს შარლატანა,
მოედება სუნთქვას ხავსი.

არ ჩაყუჩდეს ოდეს ქნარი,
დაეწიოს ლოცვა მოგვებს,
რაც არ უნდა გაჩნდეს ბზარი -
თანაგრძნობა არ დაობდეს.

ყველამ თავის კაკალ გულში
უმკაცრესად ჩაიხედოს...
სათნოებავ, დაფაცურდი,
რომ არ მისწვდეს მღრღნელი ერდოს!

ნისლთა წიაღში

შეუფერადეს მრწამსი ფრთოსნებმა
მოუხელთებელ აზრის ქარტიას...
ნაჯახირები განსხივოსნება
ამ მწველი გულის ფათერაკია.

ეს ჩათუთქული სულის სიმები
აფრქვევს მალამოს ცის კამარაზე...
ეჰ, ალბათ მაინც ვერ დავმშვიდდები,
კარვის დარაბა ვერ მიმოვრაზე.

რადგან ბაღნარი დელგმამ ჩარეცხა,
ჩამომიღამდა სიმწრის ჩაფხუტი,
შოკით დაგრეხილ მუხას ნამეხარს,
შეაჟრიალებს ქროლვა ამ მუხტის.

ჰოდა, შევტოპე ნისლთა წიაღში,
შხუილის ექო როკავს ზარებად...
ეს დალოცვილი უფლის იაზმი
სასაფრთიანოდ მეწანწკარება!

მშვიდად

რადგან ომში ძველი ფიშტო
გაუყუჩდა მიზანთროპს,
თუ რამ გულში ხინჯი იყოს
მშვიდად მიმოიფანტოს.

მოგოგმანდეს მუხის ჩრდილში
მადლიანი ფერია,
სასიკეთო დასაწყისის
განშტოების ჯერია.

ცისარტყელა იღიმის და
აიქოჩრა თავთავი,
მზეს თამამად მიეფიცხა
ამორძალის ნაწნავი!

ობლის კვერი

როცა წინამძღოლთ არა სურთ
აცხონ ობლის კვერი,
როგორ მოვწმინდოთ ჩვენს მამულს
სისხლთხეული ცრემლი?!

დემონები როცა ცაში
ხოშკაკალებს სცრიან,
ბოიკოტი, არა ტაში
ცინიკოსთა გნიასს!

დაიხუნძლა სამტრედისი
საღი ფიქრის წონით,
წრფელ განწყობას მარადისი
დაეპკურა თქორი!

თავზე რომ არ გადმოგვაცხრეს
მქროლავ სეტყვის ჯერი,
უანგაროდ უნდა ჩაცხვეს
დაზაფრულთა კვერი!

შ ე ი ფ ე რ ე

ნუ დასწამებ ცილს და
ნუ ალესავ იარაღს,
ის ხომ ერთ დროს სცლიდა
ერთგულების ფიალას.

ის ხომ ისევ იქა ზის,
სადაც თრთოდა ზამბახი,
გულს ნუ ახვევ სილაში,
შეიფერე - ნახვამდის.

რა ვუყოთ, რომ განგებამ
არ განავრცო თქვენი გზა,
ალი ისე არ ქრება -
თუ სუსხი არ შერისხა!

ფიქრის ჯირითი

ო, განცვიფრების ეს ჰარმონია
ისე შეერწყა სულეთის მირაჟს,
აღვირახსნილი მელანქოლია
გასათუთებულ სიწრფელეს წირავს.

გაუშიფრავი იგავის ქროლვას
ის უხილავი ძალა წარმართავს,
რომლის კურცხალი კალოებს ტბორავს,
ყურის ბიბილო ეწვის სამართალს.

რა სავალალოდ გაუბრალოვდა
გაწბილებული ფიქრის ჯირითი...
შემოეცრიცა გარსი წყალობას
და არსაცნაურ ბჭისკენ მიილტვის!

გული უბერდებათ

რადგან ეტმასნება ბეც აურას,
უხმო სიკირკიტე საგრძნობია...
როცა გაწბილება ეცნაურათ,
აჩრდილს ყავარჯნებზე დაყრდნობიან.

როცა ქარაშოტის სიძლიერე
მიწყივ აწაკწაკებს ძვლების ძგიდეს,
გული უბერდებათ მიწიერებს,
ზღურბლზე აფიშები გადაჰკიდეს.

ჰოდა, ამ სპექტაკლის პრემიერას
ბევრი ჭირვეულად ითავისებს,
ტურამ ჩაახველა გემრიელად,
სვავი ჩასაფრენებს იკაპიწებს!

გაქრი კორონავ

გულაღრენილი და შუბლშეკრული
შევყურებ ჟამის ვადადარიას,
დაუნდობელი და შერყეული
ეხმიანება სიმწრის არიას.

ხშირად სახადი ისე სვლაგეზობს
ლამის ჩააცხვეს სულის კელიებს,
როგორ მიმტყუნე, როგორ იმედო -
როგორ უაზროდ შემომელიე.

ისე გამძაფრდა შემოძახილი,
ვეხმიანები ნუთუ ბოლო ჟამს...
შევთხოვ განგებას ხელებაწვდილი -
შორს სიძულვილი, გაქრი კორონავ!

კიდევ ერთხელ

იბარაქა სეტყვამ,
ტლინკებს ისვრის კვიცი,
ტლაპოებში ქექვამ
შეცბუნება იცის!

გადიკარა როცა
დაილანდა ძერა,
სკვინჩა კირკნის მოცხარს,
ნისლი ფარდაგს კერავს.

შორი გზა მაქვს წინ და
მუსტანგს ვვარცხნი ფაფარს,
ერთხელ კიდევ ვსინჯავ,
რომ შევერწყა ზღაპარს!

სანატრელი

აღრენილი ნიაღვარი
კვლავ მიაწყდა ხოდაბუნებს...
წარმოსახა ელვამ ჯვარი,
რისხვას შფოთი აცნაურებს.

ვერ მოიშლის სუსხი ხავილს,
ვერ დალაშქრავს ჯორი ქარაფს,
მიგდებულა ჩირგვში კავი,
სეტყვამ კალო მიმოფარა.

სანატრელი ხდება როცა
სამშვიდობო ჰარმონია,
ცისარტყელის გადაკოცნა
სილაჟვარდის ტატნობია.

არ ღირს

საცოდვილოდ აიძაგრა
წუთისოფლის ლატანი...
განდგომილმა საიდანღაც
მოადინა ზღართანი.

ეჰ, რატომღაც გამიმძაფრდა
საჩოთირო შეგრძნება,
განერიდა წერო ზამთარს,
არ ღირს ფიშტო ფეთქებად.

ჰოდა, უნდა ვაგვირისტოთ
იმ განწყობის თილისმა,
მილეთმა რომ საქილიკო
არ განავრცოს წილისყრა.

ვერ გაექცევა

გამრუდებულა ამ იღბლის
განშტოებების თარაზო,
მაშფოთებს კვნესა ბრმა მიწის -
სადუხჭიროდ და საავდროდ.

რა კოკლოწინად დათრთიან
ნაალაფართა ფარფლები,
რომ ვუმზერ ნაბიჯს სარფიანს
ჩავყუჩდები და ჩავცხრები.

თითქოსდა ნადირთ წკავწკავმა
ისე დააფრთხო გარემო,
მოკვდავთ ცდუნების საფლანგად
გამბედაობა არ ეყოთ.

ვერ გაექცევა თვის შარას
გზააბნეული ყარიბი,
მხარს აუტოკებს მზის კარავს
მარადისობის ბღავილი!

თუ არ ვაკვნესე

გაუგებრობით გათოშილ აზრებს
გაასასტიკებს ჯანყის ზმანება,
ქარბუქი ისე ახშობდა კარებს,
სარკმელს ცრემლები ეწანწკარება!

ამ გამოკეტილ სივრცეში ყოფნამ
მიმოამწუხრა სულის სიმუნჯე,
ჭერში ღამურა მალ-მალე ოხრავს
და თითქოს ძირძველ ვარამს იყუჩებს.

ეჰ, ჩავაშტერდი მიმქრალ საცეცხლურს
და შევაწონე ფიქრი ნაღვერდალს,
თუ არ ვაკვნესე სიმი ახლებურ -
ჟამის თაკარის ალი ჩამფერფლავს!

გლუვი ნაზავი

უნიათობის გლუვი ნაზავი
ამ თემშარაზე ხარბად ათქორდა,
ვერ უსაყდრისებს ობოლს ავთვალი,
ვერ იბრდღვიალა ელვამ სანდობად.

მოზღვავებული ანომალია
ისე შეერწყა დღიურ ცდუნებას,
ვით დამშეულმა ხირხნა ძვალია,
ვითარცა უნდოს მრწამსი უცვდება.

ჰოდა, რატომღაც ვიწვი ღადარში -
საუკუნეთა აღტკინებიდან,
ეჰ, საწუთროსთან რომ ვერ დავზავდი -
წვთ-წვეთ მოჟონავს სისხლი ვენიდან!

რაო, რაო

ფოთოლცვენის ჰარმონიამ
დააკნინა შარიშური,
ქარის სტვენას აჰყოლია
შემოდგომის ალიყური.

თავს დაუხრის სიმარტოვე
გაშიშვლებულ სისადავეს,
ჭალას დელგმა დაატბორებს,
უცახცახებს გზირს სადავე.

რაო, რაო, ზამთრის სუსხმა? -
ვერ ვიქნები გულგრილიო!
ქარბორბალას ამოსუნთქვა
მიმოხვეტავს ქსიქსილიონს!

ფარფატებს ნისლი

მიმოიჩრდილა სხივთა ნაფერი,
ნისლი ფარფატებს კულისებს მიღმა,
სავალალოა განცდა ამფერი,
ვეჯიუტები ჟამსა და იღბალს.

წყვდიადის ფარმა მხარი ჩაქინდრა,
მთვარის სილუეტს ჩაწყდა სიმები,
წარსულ სულების სპეტაკ საფიცრად
უსაზღვროებას ვესიმძიმები.

ბრმა ღრუბლის ფთილა დაძრწის უღირსად ,
ჩაყუჩდა ჩირგვში ნასიმწრი დამღა,
გაუფერულდა გვემა მწუხრისა,
მომდევნო სცენის იხსნება ფარდა!...

ვერ მიაღწევ

სისხამზე რომ აწუწკდება
ნაძირალას ქილიკი,
მაშინ ძნელად ჩაყუჩდება
ცრემლმდუღარე ტირიფი.

მოცარული როს ნიადაგ
განაქიქებს ირგვლივ მყოფთ,
ზნეობა რომ ახიაგა,
მიმოაფრქვევს მგესლავ ცოფს.

ჩაიყუჩე უტიფარო,
ვერ მიაღწევ საწადელს,
ხედავ, მიწყივ სავალალო
სიმახინჯე ჩაგპარსეს!

სიმარტოვე

ისე ჩაიბუდა გულში
ფიცხელ განსხივების ქროლვამ,
შენთან სიახლოვეს ვუფრთხი
და ეს სიმარტოვე მჟრჟოლავს.

ვერსად განვერიდე, ვერა,
რაც რომ მიმოაფრქვევს ალებს,
თვალი შეფარვით რომ მზვერავს,
ამოდ ვუχახუნებ კარებს.

მაინც ჩემს კარავში აღწევს
გამჭოლ სინარნარის პეწი,
მინდა, ოცნებებში ჩავქრე -
სარკმლის ათინათთან შერწყმით!

რაც არ უნდა

როს განწყობა განივთდება,
ჭირს თანხვედრის მიგნება,
აზრი ციმციმ ჩაიცრება,
თუ არ შეკრა სიტყვებმა.

მომხდურს უნდა შეაგონო -
ქედს ეროდეს მოიხრი,
რაც არ უნდა შეგაღონონ,
ვალს პირნათლად მოიხდი.

აჰა, ძეწნა იღიმის და
ვარდს გაშლია კოკორი,
ადგილზევე აჩორიკა
ბრიყვმა ბლანტი ჩოჩორი.

ფ რ თ ა მ ა ლ ი

რადგან მონატრების ჯავარი
სანთლად აკიაფებს სულეთს,
შფოთი ამ განწყობის მბღალავი
ხრამში უბრად ისადგურებს.

ისე აბიბინდა ტრამალი,
ტერასს აექოჩრა თმები,
ნიმფამ აგოგმანა ფრთამალი,
ჩრდილის სიმყუდროვით ვთბები.

ვინ არ საყვედურობს ოდითგან,
ო, ამ ნასათუთარ ტაროსს,
კვირტის აფეთქება მომწიფდა,
ყნოსვის სიმსუბუქით ვხარობ!

საჩოთირო მხილება

განა ვის არ უხარია
სხივის ამობრწყინება,?!
განდეგილი სტუმარია
საჩოთირო მხილება.

როს ბუნდოვან წარმოსახვას
ჩაუბჟირდა განწყობა,
წუმპის ღვარძლის ამოხაპვა
უძლურია საწრთობად.

რადგან შუბლი შეუხურდა
დაკნინებულ ავყიას,
მზემ ხურდები დაუბრუნა
უკუნეთის ქარტიას!

სიმარტივის სიობლე

ვერ ვითავისე მიწის სიფითრე,
საცდურთა ხორხოცს ვერ ვეპაექრე...
გაუტანლობა ცისკენ მიბიძგებს,
ვით განვერიდო მბურძგლავ ნარ-ეკლებს.

ვით ჩამოვფხრიწო ბეცი ნიღაბი
ამაოების უტიფარ ზრახვებს...
როგორ თარეშობს დღეს ეს ჭილყვავი,
ნისლი პირბადის ამანათს ახვევს.

ო, ამ ყველაფრის სიუცნაურემ
დაასნეულა იმედის დვრიტა...
ორჭოფის უსტარს გავამზეურებ
და სიმარტივის სიობლე მხიბლავს!

ა ღ ა რ

ნუთუ, ამდენ ღვარძლის
განშტოებას შეძლებ,
გაწბილებას ჩავწვდი,
აღარ ვფიქრობ შენზე.

ჩემი გენის ნაკვთი
არ გიქადის ზიანს,
სიმარტოვის ბაღში
სათნოებას სცრიან.

არ წაგვლეკოს ოღონდ
წუთისოფლის ხვატმა,
სული თრთის და ობლობს
ყოვლადწმინდის ხატთან!

თ ვ ი თ გ ვ ე მ ა

გაჰკივის აღვირახსნილი
უკმარისობის სირენა,
ო, ეს ძვალტყავა ფარშივი
გარემოს ესასტიკება.

ჰოდა, ამ ფონზე გაცხარდა
განკარგულების განკარგვა,
რაც ითვლებოდა საძრახად,
დღეს მოჩვენებით აყვავდა.

რადგან ამგვარი თვითგვემა
მიმოაშფოთებს ათასებს,
სიცხადის მიმოფხიზლება
საშვილიშვილოდ ამართლებს!

ვერ ავსანთლე

თუნდაც მზის სხივს მივეტმასნო,
ან დავკრიფო ენძელები,
ვერ ავსანთლე, რაც რომ მამცნობს -
თუ რარიგად მეძნელები.

ვერ გავშალე ფრთები ლაღად,
ვერ მივყევი ქარაშოტებს,
კვამლის ბუღი გულს მიკაწრავს,
ჩაეტმასნა სული ტოტებს...

ეს რა მოსდის დამფრთხალ ფაშატს,
ვერ ითვისებს ამ ჭიუხებს,
მტრედს ნამცეცა ბარათს ვატან -
ქვეცნობიერ სამზეურებს.

ნისლების გროვა

თუ ბედისწერის განსხივოსნება
თავს ვერ დააღწევს მელანქოლიას,
არ შეაშრება ცრემლი ოცნებას
და ვერ მოიშლის ურვა ფორთხიალს.

აზვირთებული მდინარის ტალღამ
გადაუარა ქორფა ნათესებს...
გაუშიფრავი ქაოსი ჩაცხრა
და მწუხრის მბჟუტავ თვალებს აცეცებს!

გადაუფრინა დამეწყრილ ბექობს
მიმოჩეჩილი ნისლების გროვამ...
ნირი ეცვალა ლაციცის კრედოს
და სათნოებას მიეცა ფორა!

გაღიმების სითბო

ისე გაითოშა არემარე,
ისე ჩამობნელდა ირგვლივ,
ტაძარს ახლოსაც ვერ გავეკარე,
შარას მოსდებია ჭირხლი.

ბექობს მოეძალა წელზე ხავსი,
მთვარე დაეკიდა წკიპზე,
სულში სიმარტოვე ისე მაწვიმს -
ჟამი საქილიკოდ მიწვევს.

იქნებ წარმოსახოს ნაღვერდალი
შენი გაღიმების სითბომ...
ჰოდა, იმ კენწეროს ავეკარი,
ძირძველ საწყისთან რომ მიხმობს!

სტრესი

ისე ტვირთავს არემარეს
გლობალური სტრესი,
თითქოს მთვარეს ასამარებს
მეტეორთა თქეში.

ღრუბლის ნაფლეთს დააქროლებს
გაფხორილი ძერა...
ოი, ამფერ ასათრთოლებ
განწყობის არ მჯერა!

სიალალემ გაიელვა
საუფლისო კართან,
მობრდღვიალე ცისარტყელამ
დარდი მიმოფანტა...

კვლავ აუხდენელ

ო, განსხივებავ, უსათნოესთა,
როს წარმოსახეთ უპოვართ სივრცე,
იმ გაწბილების ფიცხელ კაეშანს
საწუთრო მწველი ამბორით მივსებს!

სულს რომ ხინჯები მიეტმასნება,
სხეულს ნუგბარის სიმსუყე ძმარავს...
მოუხეშავი თავშეკავება
აკვალიანებს განმუხტვის ძალას.

ეჰ, ამ უხიაგ სულდგმულთა გენი,
ბევრ ნაუცბათევ სიამეს ჩახრავს...
კვლავ აუხდენელ სიზმართან ვრჩები
და ვაჩუქურთმებ მომავლის ჭახრაკს!

კალთის კდემა

თვინიერად მომათბუნა
გოგმან კალთის კდემამ,
დედაშვილურ ნასათუთარს
დაელოცა კერა.

როს მანდილის შარავანდი
ესალბუნა ტატნობს,
დაებედა სულს ნავარდი,
სათნოება ლაღობს..

მერიდიანს მიმოწვდება
დედის ლოცვის ექო,
რაიც გულწრფელ საოცნებარ
სიერთგულეს შეფობს.

აბრიალდნენ კელაპტრები
ნამკობ, ნათაყვანები,
ოი, როგორ მენატრები,
როგორ მეამაყები!

ქვეცნობიერ

როს ჩავკიდე სიოს ხელი
და მივყევი კოინდარს,
ქვეცნობიერ ის პირველი
თრთოლვის მადლი მომინდა...

მაშინ ჭალას ამშვენებდა
არაბულას ჯირითი...
ეჰ, სამოთხის საფერებლად
ეკლებისკენ მივილტვი.

მალე ნისლი ჩამოწვება,
ინაბება სირთულე,
კოკორი არ გამოცხვება,
ახლოს თუ არ მიგულე!

ცივი ზმანება

მბორგავ ჟამთასვლის ცივი ზმანება
ვერ ესადაგა წინსვლის ქარტიას...
თოში გარემოს ეცვარნამება,
გაუცხოვება სიმწრის ბარტყია.

მოქუფრულია ნაპირის ეშხი
და თოლიები აცა-ბაცობენ...
ელვის ციაგი ღრუბელთან შერწყმით
აკვალიანებს ციურ საცობებს.

მაინც იმ ვარდის ღიმილი მათბობს,
რაიც გადურჩა გნიასის კვნესას,
მყინვარის დამზრალ ბექობთან ახლოს
ფერია მრწამსის ჩიჩილაკს კემსავს.

სუნთქვამ იტვირთა

ვერ ვითავისე როს განწყობა
განაწამები,
ჩარაზულია წრფელ საწრთობად
გულის კარები.

ამეკვიატა ცის სილურჯე,
მიწის ბზარები,
ვერა და ვერა, ვერ ვიყუჩე
ხმა ნაკრძალები.

ო, მიწიური ეს ღიოფი
სუნთქვამ იტვირთა,
სათნოება კი შვებით მოცრის
სითბოს სიმწრიდან!

რწმენის კედელი

ვერ იჯეჯილა ნუგეშის სითბომ
ჩამოეღვინთათ გორმახებს ცრემლი;
ნაგვემი სული შენდობას ითხოვს,
მწუხრი ქარაგმულ მოგუდულს მღერის.

ბერმუხამ ღრუბელს დაუცაცხანა,
ფრთებს აგოგმანებს ქროლვა ქარების...
მიჟანგებულა სხვენში შაშხანა,
შეუვალია მზის ნაკრძალები.

აქ ხომ სიკეთე ფესვს ვერ გაიდგამს,
ყამირის მოხვნა ჯერ ვერ შევძელით,
მაგრამ რატომღაც ვამბობ ყასიდად -
არ გაიბზაროს რწმენის კედელი!

ვერ ვივიწყებ

ცისარტყელამ მიმოქარგა
სილუეტი მონატრების,
აიკეცა მუხამ კალთა,
დაიბერტყა მტრედმა ფრთები.

მოუხშირა მწყერმა ღუღუნს,
მოუმწიფდა თავთუხს ღაწვი,
მტევანს გარსში სითბო უდუღს,
ღრუბელს სხივის მადლი აწვიმს.

როცა სუნთქვის მოძახილი,
იმ შინაგან ბუზღუნს ამხელს,
ფურისულა ისე ტირის -
ვერ ვივიწყებ ფერმკრთალ სახეს!

მწე ათინათი

უნდა ითქვას, რომ მარტის თვის რვაში
ჩაბუდებია გაზაფხულს როკვა...
გაღვივდა თესლი ნაცად სილაში,
გაქსუებული სიმხდალე ბორგავს.

თუ მოეყარა მარილი სტრიქონს,
ძარღვის ფეთქება თუ რამეს ნიშნავს,
მწე ათინათი განვრცობას ითხოვს,
გაყუჩებია იარა შიშხათს.

ამ ვარსკვლავეთის ეიფორიამ
გაიფრთხიალა მანდილის მიღმა...
წინ უკუნეთის ბეცი მოლია,
ნეკნის ნაზავი შეერწყა სისხამს!

გაწბილების ნაშთი

ეს ორჭოფული ფიქრები
სავალალოდ რომ იმუდრებს,
ჩამოეღვინთა კვირტები
ადამიანურ სისუსტეს.

სული როცა რომ ბეჩავობს,
ფეხქვეშ ეგება საწადელს...
უნდა იფრთხილო კენტავრო -
მარულა რომ არ ჩაგმწარდეს.

რადგან გრძნობების თამაში
ქსელებს დახლართავს ირიბად,
საჭირბოროტო კამათი
საღ აზრის სალტეს ისხლიტავს.

ეს საგულქვაო სიფითრე
იმ გაწბილების ნაშთია,
როს მიწიერი სიბიძგე
მიამუხრუჭებს ხვაშიადს!

ყოფის წიაღში

ჩამზრალ მიწიურ ორომტრიალში,
თუ სიყვარულის არ თრთის ხვიარა,
რისთვის ბოგინობ გრძნობის წიაღში,
რად არ მობანე წყლული იარას.

რად არ მიიღე ის აღმაფრენა,
რაიც განსაზღვრავს წრებრუნვის მითოსს,
რამეთუ, რაც რომ რას დაეყვედრა -
ყოფის წიაღში აკვნესებს სინდრომს.

მაინც იმ განცდის გწამდეს სიმუნჯე -
რაც რომ ცრემლების იყოს დასტური,
ეჰ, ბოლო-ბოლო ყველა იყუჩებს
და მზეწვიაობს ალადასტური.

ხვალის ზღაპარი

ამ ქვეცნობიერ გულის ფანცქალით
ატოკდა მაჯა, მცხრალი კადრია,
მიმოიხუნძლა ხვალის ზღაპარი,
იშუშებს ვერხვი მეხის ნატყვიარს.

ცაცხვმა აღაპყრო ცისკენ ტოტები,
მხატვარმა ფუნჯი თქორს შეაგება...
ცდომილო, მყოფადს ესახსოვრები -
თუ დაუდგები ჩრდილებს თავდებად.

მომღიმარ თვალთა ეს სიანკარე
ამ ჩემს ყიამეთს ეცხო მირონად...
კარში აღრენილ ქოფაკს ვაწყნარებ
და სივრცემ ხელი გამომიწოდა!

გვიხმობს სირენა

არ შეიმჩნიო, რომ არ უყვარდეთ -
განსაკუთრებით დესპოტ ორგიებს,
ო, ვინ არ ილხენს გაშლილ სუფრაზე,
ვინ არ ჩაქოლავს ქუსლით მორიელს.

იცოდე, წამით ეჩოთირები
საუკუნეთა გადმოძახილებს...
არ გაგიკვირდეს ყბედი ჩარჩები -
ვით აქარწყლებენ ცინცხალ სამხილებს.

თანაც მჩხავანა მედროვეები
განადიდებენ ლანდების ლაციცს...
დევის ნაფეხურს მოჰყვა ტბორები,
ფრთა შეეკვეცა გულზვიად არწივს.

ამ გასაოცარ ყოფით დილემას
ისე შეერწყა ზარნაშოს კვნესა,
დღევანდელობის გვიხმობს სირენა
და დილეტანტი ცხვრის ფარას მწყემსავს!

ვიწინამძღვრებ

ჩავათლი წითელ ხაზებს
საშინელებათ ნუსხას,
ეშმა ტიკჭორას ავსებს,
ბრჭყალებს ჭინჭარი სუსხავს.

დიდხანს ვათრიე რადგან
განსაცდელების ტვირთი,
მიმოვიპკურებ ბადაგს
და ვიწინამძღვრებ სიმწრით.

რადგან მითოსის ხიბლი
მეზმანა ასე ცხადად,
მთვარემ მოზიდა მშვილდი,
ცდომილი იწყებს ცახცახს!

ფიქრის დუღაბი

იმგვარად გვიტევს სნობის ნავარდი-
ვერ გავემიჯნე მთრგუნავ ქარაშოტს...
განწყობავ, ისე შემომაღამდი
ფიქრის დუღაბი უნდა დავაცხრო.

გაყურსულია ძირძველი ბუჩქი,
სახე ეცვალათ ედელვაისებს...
თავს ადვილად რომ არვის დავუხრი -
ვერც სიჩაუქით ვერ ვიხალისებ.

სასაფლაოთა გაჟღენთილ სურნელს
სისხამის სიო მიმოეპკურა...
ნაგაზი მთვარის სილუეტს უღრენს,
არწივი ჭიუხს ზვერავს მეფურად!

საგვიანო შინდები

მიმცხრალ იდუმალ სამყაროს
უნდა ვუღვივო კერა...
თუ თავის დროზე არ დარობს,
ვარსკვლავი კოპებს კერავს.

ეს საგვიანო შინდები
ისეთნაირად ხვნეშიან,
თითქოს მეც ისე ვწითლდები,
როს ნაცარტუტებს მესვრიან.

ეს წინათგრძნობა ოხერი
ქურაში ისე იწრთობა,
ვით დახარკული სოფელი
მოაგვირისტებს პირობას!

სიჩლუნგის კასტა

ნასხეპ სამყაროს ჭრილობა მეწვის,
მომძლავრებულა ყლორტების ფეთქვა...
ცვდება სტიქია განსჯის და ხვეწნის,
ხორკლი დაფარავს თავკერძა მერქანს.

ძლივს გადაწონა ტრამალის ფლორამ
ნაბობოქრები ქარის ქომაგი...
კრუნჩხვის სიშმაგე ხოდაბუნს ტორავს,
წუხს სიალალე, ჩალპა ხორაგი.

ყარიბს დაზაფრავს საყვირის სპაზმი,
ვუფრთხი ჩანგრეულ კიბეთა ნაზავს...
მბორგავ ბლანტ მასებს სიობლე აწვიმთ,
წინსვლის ლაბირინთს სიმხდალე კაწრავს.

მცონარ პანსიონთ გულძმარვა ჩაცხრა -
თავდავიწყების მოწყენის ფონზე,
ცალკერძ ბობოქრობს სიჩლუნგის კასტა,
ჩამოასკინტა ფასკუნჯმა კორტებს.

ჭაღარის სიმფონია

წლებმა სიმი აუკინძა
ამ ჭაღარის სიმფონიას,
არჩევანი ითხოვს ნიძლავს,
თვალი ძნელად მიმნდობია.

ეგ ნატიფი სიამაყე
საუფლისო სინდრომია,
ჟამი საით მიგვაქანებს,
სად ჩაგვიკრავს სიდონია?!

როს ვარსკვლავი ამობრწყინდა,
სხივი ვარდის მირონია,
გული უნდა გადამიხსნა,
ხვნეშის ბედის ირონია!

მ ი უ წ ვ დ ო მ ე ლ ი

სულში მარტოობის უფსკრულია,
ცალყბად ღაღადებენ ნარცისები...
უხმო რიტორიკა უძლურია -
თუკი სინანულით არ ვივსებით.

სხეულს განცდები თუ არ გაეყო
აღარ დაგვინდობს მუხთალი ბედი,
ყოფიერების მბორგავ ფაეტონს
მაყრიონივით შეუსხამს წლები.

ცნობიერების დამტვერილ ფარდაგს
ააბრიალებს ბრმა ქარაშოტი,
გაჭვალულია სარკმელის დამღა,
მიმოიფანტა მზის დანაზოგი

მიუწვდომელი გრაალის ხილვამ
მიმოაშფოთა გრძნობის ფიასკო...
კოდალამ მერქნის შეწყვიტა ხირხნა,
ცდილობს ბუმბული გააპიაროს!

არ მიმატოვო

როცა ბუნების წიაღი
ძაძებით მიმოითალხა,
კოკისპირულის გნიასი
აკაწკაწებდა ფილაქანს.

თანაც ვტიროდი ამგვარად,
ცრემლი ნიაღვარს ერთვოდა,
კოშმარმა გული ჩაღარა,
ელვა მაშხალებს მესროდა.

შიშიც აყეფდა მგესლავი,
ლანდები მომდევს ფეხდაფეხ,
ნეტავი ოდეს ეს წამი -
დროს ნუღარ გადაკვეთავდეს.

წუთისოფელო, მუხთალო,
ნუ აჭაჭანებ ყიამეთს,
არ მიმატოვო უფალო -
მიმომაკვლიე მზიანეთს!

უებრო ფორა

ოდითგან ჩვენში ასე ვიცით, რომ -
როს ვეღარ ფეთქავს გულის სიმები,
უკანასკნელი სუნთქვა სიფრიფობს,
მიწის აურას ვესიკვდილებით.

ზოგჯერ კი სული ისე იქცევა -
სიცოცხლეშივე დაფრენს ეულად,
თან წარმოსახვის საკიწკიწებად
გალაქტიკაში მიმოფრქვეულა.

მასთან კონტაქტი ძალზე რთულია
და სიახლოვის გვიჭირს შეგრძნება,
ეს არც კვდომაა, არც სასრულია,
მყოფადს უებრო ფორა ეძლევა.

ყოველგვარ ჟამის აღმსრულებელის
შეუცნობია ნება გრძნეული...
ბობოქრობს სენი უკურნებელი -
ცოდვით ნაშობი, სიმწრით ძლეული!

უგანაჩენოდ

დაღონებულა მეცხვარე,
დამშეულია ფარა...
შარას გზირები კემსავენ,
გაუტანლობა მზარავს.

გაქსუებულა რაოდენ
ახირებული მზერა...
უგანაჩენოდ დაობენ,
ხოხობს დააცხრა ძერა.

ქარაფზე გადმოეფინა
ამჭვარტლებული ნისლი,
განწყობას ჩამოეძინა
აუხდენელი სიზმრით!

განსაცდელის ანომალია

გახუნებიათ კულულები ქათქათა ფარდებს,
ჟამიანობა სიმარტოვის მასპინძელია,
საყოველთაოდ დასახვეწი სიფრთხილე გვმართებს,
ვაი, თუ შიშმა მიანაცროს სულის კელია.

ვაი, თუ მზისკენ ცისარტყელის გაწვდილი ხელი
შეეყინება განსაცდელის ანომალიას,
ვაი, თუ გედი, მართლაც ბოლო სიმღერას მღერის,
თუ გისოსები არ გაუცვდა ღრუბლის გალიას.

ო, ამ მკვნესარე გულის სითბოს გამოძახილი
როგორ ამაოდ ეჩხირება ყელში მარათონს,
მგლოვიარეა სათნოება წამწამდახრილი,
ჩამოიწრიტა სინანულის ცრემლი საავდრო!

მნუსხავი ხიბლი

როგორ საოცრად მეუცნაურა
არდავიწყების მნუსხავი ხიბლი,
თითქოს შევერწყე კამკამ აურას
და ნაკრძალეთის წიაღში მივქრი.

წინ მეგებება ნიმფების დასი,
თან ვეკონები ედელვაისებს...
მალე დემონი ჯიხვის რქას დასცლის
და მანანებით პეშვებს აივსებს.

შორეთში მჭახე გნიასი ისმის,
ამ ქროლვის ეშხიც განაცრისფერდა...
თითქოს მაფხიზლებს ყივილი მიწის
და ქარაფები კალთებს იფერთხავს.

აქ არემარეც მიმოიქუფრა,
ტატნობს ეამა თქორი ფანტელთა,
შეცბუნებული ნისლს მოვიხურავ
და ვუბრუნდები მიმქრალ ნაღვერდალს!

გამოსავალის ძიება

ქვენა გრძნობების დაძლევას
როს ეწირება განწყობა,
ფიქრები მაინც არ ცხრება
ბრმა ნაბიჯების საწრთობად.

თანაც სულიერ სინაზეს
თუ ასპარეზი მიეცა,
გვირაბის ბოლოს სინათლე
ბუღის ბახალებს ირეკლავს.

გაადვილდება თანდათან
გამოსავალის ძიება,
დელგმამ ქარაფი ჩაფარცხა,
ხოდაბუნს კუდი მიება.

მზე ალმაცერად დაჰყურებს
მიწიერ ვადადარიას...
დაე, სიტყვიერ საუნჯეს
დაეფრთიანოს ყავლია!

შხუის მაშხალა

რომ მოგეფონოს გულზე ნიავი -
გახსენ ფანჯარა,
ტატნობზე მსრბოლავ იალ-ციალით
შხუის მაშხალა.

სარკმელში როცა სილუეტმა
შემოანათა,
გააცისკროვნა გულის ფეთქვა
შენმა ბარათმა.

ეს სიზმარია, თუ მთვარეულ
კედლებს დავყვები?! -
სული ქოთქოთებს ჩამწარებულ
ბჭობის თანხმლები.

ფანჯრის ცვარ-ნამი შეეწონა
ცხადის მარმაშებს...
და განთიადი მიმოქოლავს
ბინდის განაჩენს!

გვაკმარე

დეპრესიათა მუხტები
ჩაებღაუჭა ქვეყანას,
ნირაღრენილი ვრწმუნდები -
ცამ დაგვაკისრა ბეგარა.

თუკი ვერარას გახდება
მახვილი, თუნდაც ლაზერი,
აისის ღია სარკმელთან
მთქნარებ-მთქნარებით ჩავთვერი.

ეს შინაგანი სიმძიმე
სამუხრუჭეა ოინის,
ვინც სახვალიოდ იფხიზლებს,
უფლის წყალობას მოიმკის.

ნაზამთრალ სულში ღვარღვარებს
ცნობიერების კრუნჩხვები,
უზენაესო გვაკმარე
ამ საცდურეთის ხუნდები!

ვერ მოვიშუშე

ასეთ უღრანის შემყურემ,
ვით გავიკვლიო გზა-შარა?!
ამ გულფართხალა ბეღურებს
მიმოეყინათ ქანდარა.

ვერ მოვიშუშე ნიადაგ
ეკალ-ბარდების ნასისხლი...
უფსკრულის ზღუდეს მიადგა
დაკოჭლებული ნარციზმი.

შემოეცრიცათ ურმული
ქუსლებმიჩხვლეტილ სახედრებს,
სერაფიმების ჩურჩული
ისევ ზეცისკენ მახედებს.

ამოიწვერა მთვარე და
ღამურამ ზვინში იმუდრა...
ჩათვლიმა ჟამის ნაღვერდალს,
ვძერწავ ნავსაყუდს ფიტულად!

ჟამის სახადი

ამ საფიქრალის მთიების
სიმკრთალე გადამდებია...
განსაცდელს შევეხიდები,
ნისლები მოლზე წვებიან.

ო, როგორ მიჭმუჭნულია
ჟამის სახადის ფარდები...
ჭინკები დავლურს უვლიან -
კადნიერების თანხლებით.

გაუღიავდა გულმკერდი
ეულად შთენილ შარა-გზას...
ჩაყუჩდა შვილი უძღები,
ცვარი ღვარცოფში განზავდა.

ობოლი ხოდაბუნები
მარჯვენის ძალას ელიან...
ცდუნების კატაკლიზმები
ოდითგან დასაძლევია!

სუნთქვამ იმარხულა

ციურ სისპეტაკის ხიბლი
ფიფქად მოეფინა სივრცეს...
ნაბიჯს საწინსვლაოდ ვითვლი,
რწმენას სიანკარით ვივსებ.

როცა განშტოება ერწყმის
ამგვარ აღტკინების დვრიტას,
იმედს ვაგვირისტებ შენთვის,
ღრუბელს გაფითრება ფილტრავს.

სუნთქვამ იმარხულა წამით -
ყინვის სამოსელის მიღმა...
იქნებ ამეხილოს თვალი,
იქნებ ჩავუსაფრდე იღბალს!

დ ა მ თ ა ვ რ დ ა

როგორც ამბობდა იესო -
ფარისეველთა დასზე,
ღვარცოფი მოაკმიესო,
გაიგუნდრუკეს ჯვარზე.

ეს მიწიური სიბილწე
ისე აფრქვიეს კალოს,
ძაღლი პატრონსაც ივიწყებს,
აზრი სიტყვისთვის წვალობს.

როგორ ზულუქობს სატანა,
სეტყვა კოკორში ჩამდნარა,
ეჭვის ჩანჩალა მაშხალა,
ო, რა ამაოდ დამშვრალა.

რა უნდა ვუთხრა ამგვართა,
სივრცე გააპო ელვამ,
ბინდის გნიასი დამთავრდა,
ღივის რიჟრაჟის კერა!

სარჩევი

ვარდების სიფრიფი.....3
ჟამის სასწორი.....4
გუმანს რომ ვენდო.....5
შეაფერადა.....6
უმზადებს.....7
ბინდის წიოკი.....8
სწორედ ასე ჩაიღვენთა.....9
დროა.....10
ყინვის სითეთრე.....12
გიყვარდეს მუდამ.....13
ასე რად.....14
გაკვესა.....15
ნუ..... 16
ოდითგანვე..... 17
შემცბარი..... 18
ტვირთი..... 19
თუ განავრცობ..... 20
გადასახედი.....21
რა სავალალო.....22

განსხივება.....23
დროდადრო.....24
თურმე.....25
მძიმე ჯვარი.....26
შენი მადლი.....27
ინატრა.....28
საცდურის საგმობი.....29
ჩახერგილ ზღუდეს.....30
მხოლოდ.....31
მოხისი.....32
გაუფასურდა.....33
მჭვალავს.....34
ძნელად.....35
ვერასოდეს.....36
მაინც ისე.....37
ხილვის იმედით.....38
ვერ ვაჭიატე.....39
თუ არ იგრძნე.....40
არ მიმართლებს.....41
სიფაქიზე.....42
მოლოდინი.....43

სისხამის ექო.....44
დაე.....45
ჩანგის წყობა.....46
უთავბოლოდ.....47
ელვარების სხივი.....48
განმუხტვა.....49
ახვეული თვალი.....50
შევრჩით.....51
ჰო, არა.....52
საგრძნობლად.....53
მზის რიტორიკა.....54
თუ არ იხმობ.....55
კრძალვით.....56
ოცნების სიობლე.....57
უჩანს.....58
ვარდის სიამე.....59
რისთვის.....60
მონატრების სითბო.....61
არ იქარწყლება.....62
უთქმელი აზრი.....63
ჰოდა.....64

უფალს შევთხოვ.....65
როგორ.....66
ოხვრით.....67
გარანტი.....68
ამაოდ ვფურცლავ.....69
არა ისე.....70
წრფელი ნაფიქრი.....71
ისე.....72
ასე ადვილად.....73
არ მაპატიეს.....74
სივრცის ფიასკო.....75
საწინსვლაო ზეობა.....76
წუთით მაინც.....78
მალე.....79
საომრად მიწვევს.....80
კვარცხლბეკის ქიმზე.....81
შენამდე.....82
სამწუხაროდ.....83
მოლოდინის კართან.....84
არ შევუშინდეთ.....85
ცოდვის მტვირთველი.....86

არ ვემონო.....87
მჯერა.....88
უნდა დაედაროს.....89
გულს უგრილებს.....90
სულის ღიოფი.....91
წამის სინაზე.....92
დაღმართის ზღუდე.....93
ვინღა.....94
განსჯის ფურცელი.....95
იქნებ გულზე მომეშვას.....96
თავკერძა წყენა.....97
რა ნაადრევ.....98
მიხსენ უფალო.....99
ფიქრის ქარბუქი.....100
ფარისევლის ფანტომი.....101
შეფეთება.....102
შერკინება.....103
გრძნობის პირველწყარო.....104
არ დანებდი.....105
უტყვი იმედი.....106
საქილიკო..... 107

საიქიოს მახვილი.....108
ნუღარ იტყვი 109
სათქმელი გახუნდა.....110
მადლით.....111
ყოფის დილემა.....112
ვერ ვითავისებ.....113
განწყობის დვრიტა.....114
დასახვეწი.....115
არ თმობს.....116
სამოთხის სიო.....117
შინაგანი ნათება.....118
შემოდგომა.....119
სინამდვილის შეგრძნება.....120
გაუფასურდა.....121
ციდან ნაპკური.....122
აღარ მინდა.....123
ამჯერად.....124
ეძებს.....125

არც რა.....126
ვერიდები.....127
ერთი ასად.....128
არ გაჰყვება.....129
იკვალიანა.....130
საერთო.....131
ბევრს ვერას.....132
დროზე.....133
სარკმელს ვუღებდი.....134
პინგვინები.....135
სიმარტოვის ხიბლი.....136
მერამდენედ.....137
სიკამკამე.....138
ბალაგნის ჩრდილში.....139
ჟამს ეწირება.....140
ა, ეს ღალატი.....141
ოდნავ მაინც.....142
თვითმარქვია.....143

უტყვი გაბრწყინება.....144
მოკვდავის ვალი.....145
წრებრუნვის ხილვა.....146
აზრით მწირი.....147
შენღა.....148
დროა, მიდი.....149
რა უგერგილოთ.....150
ვერ ჩამოქნის.....151
ის მეობა.....152
გზადაგზა.....153
წყურვილის ვარდი.....154
თუ შეიკრა.....155
ნისლთა წიაღში.....156
მშვიდად.....157
ობლის კვერი.....158
შეიფერე.....159
ფიქრის ჯირითი.....160
გული უბერდებათ.....161

გაქრი კორონავ.....162
კიდევ ერთხელ.....163
სანატრელი.....164
არ ღირს.....165
ვერ გაექცევა.....166
თუ არ ვაკვნესე.....167
გლუვი ნაზავი.....168
რაო, რაო.....169
ფარფატებს ნისლი.....170
ვერ მიაღწევ.....171
სიმარტოვე.....172
რაც არ უნდა.....173
ფრთამალი.....174
საჩოთირო მხილება.....175
სიმარტოვის სიობლე.....176
აღარ.....177
თვითგვემა.....178
ვერ ავსანთლე.....179

ნისლების გროვა.....180
გაღიმების სითბო.....181
სტრესი.....182
კვლავ აუხდენელ.....183
კალთის კდემა.....184
ქვეცნობიერ.....185
ცივი ზმანება.....186
სუნთქვამ იტვირთა.....187
რწმენის კედელი.....188
ვერ ვივიწყებ.....189
მწე ათინათი.....190
გაწბილების ნაშთი.....191
ყოფის წიაღში.....192
ხვალის ზღაპარი.....193
გვიხმობს სირენა.....194
ვიწინამძღვრებ.....195
ფიქრის დუღაბი.....196
საგვიანო შინდები 197

სიჩლუნგის კასტა.....198
ჭაღარის სიმფონია.....199
მიუწვდომელი.....200
არ მიმატოვო.....201
უებრო ფორა.....202
უგანაჩენოდ.....203
განსაცდელის ანომალია.....204
მნუსხავი ხიბლი.....205
გამოსავალის ძიება.....206
შხუის მაშხალა.....207
გვაკმარე.....208
ვერ მოვიშუშე.....209
ჟამის სახადი.....210
სუნთქვამ იმარხულა.....211
დამთავრდა.....212

ეკატერინე ციცქიშვილი

ჟამის სასწორი

ფასი: ხელშეკრულებით